ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

სახალხო ფრონტი | № 5 | 31 XII 1989

## საბჭოთა პარლამენტის საჩვენებელი გამოსვლა

დამთავრდა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა. ამ ყრილობამდე ბევრს კვლავ გულუბრყვილოდ სწამდა საბჭოთა კავშირის პარლამენტის, ჰუმანური დეპუტატებისა და „გარდაქმნის მთავრობის". კვლავ გულუბრყვილოდ სწამდა სობჩაკის კომისიის სინდისიერების და შეუვალობისა. მცდარი ილუზიები, როგორც მოსალოდნელი იყო, გაქრა. ბოლო იმედსგამოდევნებულ, ტელევიზორის ეკრანებთან მიჯაჭვულ ჟრუანტელმოგვრილ ხალხს ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიშის გაცნობის შემდეგ ცივი წყალი გადაესხა. თვალნათლივ გამოჩნდა, როგორ „მოგვეფერა" ქართველებს საბჭოთა ქვეყნის პრეზიდენტი, სამხედროებთან და „პერესტროიკის" მტრებთან „კონფლიქტში მყოფი", უნიჭო სპექტაკლის, საპარლამენტო ფარსის მთავარი მოქმედი პირი და რეჟისორი. ჩვენი დეპუტაციის ვაჟკაცობა და გმირობაც ეჭვის ქვეშ დადგა...

მოკლედ, არც ღირს სალაპარაკოდ საბჭოთა პარლამენტის საჩვენებელი გამოსვლა. რაც მოხდა, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო და არც ყოფილა ჩვენთვის. მომავლისთვისაც არ უნდა გვქონდეს არავითარი ილუზია. იმ დეპუტატებს კი, რომლებმაც ჩვენს დელეგაციასთან ერთად დასტოვეს დარბაზი, მადლობის მეტი რა ეთქმის.

ერთ საკითხზე კი, უბრალოდ, ცნობისათვის, გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება. ყრილობაზე დაისვა საკითხი, დღის წესრიგში შეეტანათ თუ არა სსრკ კონსტიტუციის მე-6 მუხლის განხილვა, რომელიც კომუნისტური პარტიის ჰეგემონიასა და წარმმართველ ძალას ეხება. გაგაცნობთ კენჭისყრის შედეგებს საქართველოს დელეგაციიდან. შეიძლება ზოგიერთი დეპუტატი გამოგვრჩეს, მაგრამ ძირითადი სურათი თქვენთვის ნათელი იქნება.

იმ დღეს ყრილობას არ ესწრებოდნენ: ვ. არძინბა, თ. გამყრელიძე, ჯ. გუგუჩია, ვ. ძიძარია, ვ. ზორინა, ლ. ისაკაძე, ფ. ისკანდერი, შ. ყანჩაველი, ლ. ქობალია, გ. მგელაძე, ჯ. პატიაშვილი, რ. თაბუკაშვილი, გ. ტყემალაძე, მ. ხურცია, ო. ჰილაძე, შ. შამანაძე, კ. ეგნატაშვილი.

დღის წესრიგში საკითხის შეტანის მომხრენი იყვნენ: თ. აბულაძე, ვ. ადვაძე, ნ. ამაღლობელი, შ. ამონაშვილი, რ. არშბა, ა. ბაქრაძე, ს. ბატიაშვილი, მ. ბერძენიშვილი, ვ. ბერიკაშვილი, თ. ბუაჩიძე, ა. გვენეტაძე, ა. გოგუა, ა. გუჯაბიძე, ს. ლუდუშაური, ნ. ჯუსოითი, ა. დიხტიარი, გ. კვარაცხელია, ვ. კუბლაშვილი, ზ. ყურაშვილი, პ. მარგველაშვილი, მ. მაჰავარიანი, ნ. მგალობლიშვილი, ო მემანიშვილი, გ. მეტონიძე, რ. ორაგველიძე, გ. ოთარაშვილი, ზ. პავლიაშვილი, ზ. ფირცხალაიშვილი, ო. ფაცაცია, ი. როდიონოვი, რ. სალუქვაძე, ტ. სპანდერაშვილი, ტ. სტეფნაძე, ც. სურმანიძე, ა. თავხელიძე, ზ. წერეთელი, ს. ცინცაძე, ე. ჰილაია, ა. ჩიტია, თ. ჩხეიძე, ვ. შამილაძე, ე. შენგელაია.

თავი შეიკავეს: გ. აბზიანიძემ, ნ. ბაჯელიძემ, ნ. ზოიძემ, მ. კონცელიძემ, თ. მენთეშაშვილმა, ი. საკანდელიძემ, გ. ჩიგოგიძემ.

წინააღმდეგი იყვნენ: ვ. აგრბა, ბ. ადლეიბა, ვ. ბლოჟიევსკი, ნ. ბოკუჩავა, ა. გოგეშვილი, გ. გუმბარიძე, ი. ჯგერია, ო. ზუხბაია, შ. კიკნაძე, ვ. კობერიძე, ბ. მახარაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ვ. სირაძე, ო. ჩერქეზია, ა. ჩეხოევი, ზ. ჩხეიძე, ტ. შამბა, ბ. შინკუბა, გ. ემირიძე.



## ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას

სიკვდილში არის რაღაც პირქუში სიდიადე.

მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შევიცნობთ ხოლმე თუნდაც უახლოეს ადამიანს; გამორჩეულითი სიცხადით წარმოგვიდგება ყოველი კაცის პიროვნული ავ-კარგი, რაოდენ მძიმეც უნდა იყოს მისი ამ ქვეყნიდან განშორებით მოგვრილი ტკივილი.

ერთი ბრძენკაცის ნათქვამი გვაგონდება: კაცის სინდისი მყიფე ნაჭუჭში მოთავსებულ კაკლის გულს ჰგავსო — ძვირფასი ადამიანი რომ გამოგეცლება, მწუხარების ძალა გააპობს ნაჭუჭს. გაიხსნება გული და ნაგვიანევი სინანული შეგძრავს; მაშინღა იგრძნობ, ვინ დაკარგე, რამდენი სითბო, რამდენი სიყვარული დაგიკლია მისთვის, თურმე რა ბევრი გმართებდა და რა ცოტა გაგიღია...

ვინ იცის, იქნებ ასეთია ნალდი კაცის ბედი: გასცე გაცილებით მეტი, ვიდრე მიიღო.

მისი სათაყვანო ხატი, წმინდა ილია მართალი ბრძანებდა საქართველოს ავბედობის ჟამს: საერთო სახელი ქ ა რ თ ვ ე ლ ი კერძოობითად გავხადეთ, მ ა მ უ ლ ი დანეხეულ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პ ა ტ ი ვ ი ნეხვად... და ჩვენი ხუადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კ ა ც ს კაცი აღარ ჰქვიან, თუ ზედ კ ა ც უ რ ი არ დავუმატეთო.

არანაკლები ავბედობის ჟამს მოუწია ზურას ცხოვრება, მაგრამ მისთვის სიტყვა ქ ა რ თ ვ ე ლ ი მუდამ ეროვნული ერთიანობის სიმბოლო იყო, მ ა მ უ ლ ი — წინაპართა ძვირფასი მემკვიდრეობა და უანგარო მოღვაწეობის სარბიელი, ხოლო პ ა ტ ი ვ ი — მამულისთვის თავდადების საზღაური მხოლოდ, რამეთუ ის იყო კ ა ც ი...

ერთი ფრიად საგულისხმო, ბევრისთვის ალბათ უცნობი ფაქტი გვინდა გავიხსენოთ: სიონის კათედრალურ ტაძარში დაკრძალული იყო სტალინისა და ორჯონიკიძის სადარი მოღალატე ქართველი ერისა — ავადსახსენებელი პავლე ციციანოვი და სწორედ ზურას დაულალავი მეცადინეობით, ჯერ კიდევ ე. წ. „ზასტოის" ხანაში, გაუქმებულ იქნა წმინდა ალაგის შეურაცხმყოფელი საფლავი. მსგავსი რამ ბევრს ალბათ საუკუნო პატივად ეყოფოდა, მაგრამ ზურას არასოდეს მოუწონია თავი სახალხოდ — მისთვის ეს მხოლოდ სამშობლოს წინაშე ვალის მოხდა იყო, სხვა არაფერი.

რამდენს დახმარებია უანგაროდ, რამდენ გაჭირვებულს ამოსდგომია გვერდში, მაგრამ ადამიანის თანადგომა მისთვის მხოლოდ კაცური მოვალეობა იყო, სხვა არაფერი.

რამდენი იბრძოლა მშობლიურ ყვარელში ეკლესიის ამოქმედებისთვის, როგორ უვლიდა წინაპართა სამარხებს, რა სათუთად ინახავდა მათ ხსოვნას, არასოდეს დავიწყებია, ვისი გორისა იყო. ბევრს ალბათ ესეც ეყოფოდა საამაყოდ, მაგრამ მამა-პაპათა ნალვაწისთვის პატივის მიგება მისთვის მხოლოდ ქრისტიანული ვალის მოხ. იყო, სხვა არაფერი.

დაუდგრომელი ცხოვრება ჰქონდა ზურაბ ჭავჭავაძეს; გამარჯვებაც უნახავს და მარცხიც, შეცდომაც მოსვლია, მაგრამ არასოდეს უღალატია საკუთარი მრწამსისთვის, ყველგან და ყოველთვის კ ა ც ა დ რჩებოდა...

არც ხიფათი და განსაცდელი დაჰკლებია, მაგრამ მუდამ უშიშრად ებრძოდა ავ ბედისწერას, არასდროს დაუკარგავს სიმხნევე. უკანასკნელ ჟამსაც, ორთვე ჩვეული უჟიათობით ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ თურმე უფალს ენება მისი წაყვანა...

ყოველი ქრისტიანი, დღიდან ამქვეყნად მისი მოვლინებისა, ვიდრე აღსასრულამდე, თავისებურად იმეორებს გოლგოთის მისტერიას. ცხოვრება ჯვარცმაა, სადაც ყოველი თავის წილ სიმძიმის ჯვარს მიეზიდება, და თუკი არიან სულმოკლენი და სულმდაბალნი, რომელნიც ამ გზიდან ჩამოცილებას განიზრახავენ, მაშინ სხვა, უფრო ძლიერი სულის პატრონი კისრულობს მის ტვირთს, და ასე, დაუსრულებლივ, დღეყოველ მეორდება გოლგოთის მისტერია ამ ქვეყნად, ვიდრე მოაწევდეს საშინელი სამსჯავრო.

ზურამ პირნათლადატარა თავისი ჯვარი ამ ცხოვრებაში და იგი ღირსი ეყო უფალმა, ქართველთა შორის საბჭოთა საქართველოში პირველს ეპოვა საუკუნო განსასვენებელი მის მიერვე აღდგენილ ეკლესიაში, სახელოვან წინაპართა გვერდით, და ამით თითქოსდა გვამცნო, რომ ახლოა ნანატრი ჟამი საქართველოს თავისუფლებისა, რისთვისაც ასე დაულალავად ილვწოდა ზურაბ ჭავჭავაძე.

მეგობრების ჯგუფი

# ღია წერილი

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს მთავრობას

ჩრურება 1989 წელი, მეტად მძიმე წელიწადი მრავალტანჯული ქართველი ერისათვის, ვისთვისაც ისტორიის მანძილზე უბედობა და განსაცდელი უცხო არ ყოფილა. და მაინც, განვლილი წლის განმავლობაში ჩვენზე თავსდატეხილი სიმწარე არასდროს წაიშლება. როგორ ჩაივლის უკვალოდ ის ბოროტება, შეურაცხყოფა და ღალატი, რაც არ დაიშურა ჩვენთვის შინაურმა თუ გარეულმა. გულდამძიმებული საქართველო ჰირისუფლობს შეუბრალებლად დახოცილ შვილებს, გაავებული ბუნების მიერ საერთო სოფლებად ქცეულ სოფლებს, უდროოდ წასულ თავდადებულ მამულიშვილებს.

საქართველო მზრუნველ ხელს უწვდის გაჭირვებაში ჩავარდნილ უსახლკარო, დაბეჩავებულ, საკუთარ მიწა-წყალზე ხიზნებად ქცეულ საკუთარ შვილებს. თითოეული ქართველი ცდილობს, გაილოს წვლილი თანამემამულეთა დახმარებლად, უთანაგრძნოს მათ, გულის სითბო გაუზიაროს. იქმნება საქველმოქმედო ფონდები, გროვდება შემოწირულობანი, ახალგაზრდა თუ ასაკოვანი უანგაროდ აშენებს ახალ სოფლებს, ცდილობს აალორძინოს ძველი ნასოფლარები.

და მაშინ, როცა ვცდილობთ თანაგრძნობის და მზრუნველობის გარეშე არავინ დაგვრჩეს არა თუ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, უცნაური და ყოვლად შემაძრწუნებელი რამ ხდება. ჩვენს თვალწინ, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საგამოფენო დარბაზის კიბის საფეხურებზე სხედან ძაძებით მოსილი ქართველი ქალები და მოთმინებით ელიან სამართალს. საოცარი მოთმინებით, რადგან 1989 წლის 15 ნოემბერს დაწყებული ეს გაფიცვა დღესაც გრძელდება. მხოლოდ უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მისული ჰირისუფალი თუ შესძლებს ზამთრის სუსხიანი, გრძელი ღამეების განმავლობაში შეინარჩუნოს სიმართლის გარკვევის იმედის ოდნავ მბჟუტავი ნაპერწკალი და... ითმინოს. ითმინოს ყველაზე ძნელად ასატანი — ადამიანთა, თანამემამულეთა გულცივი დამოკიდებულება მათი სატკივრის მიმართ. გვესმის, ძნელია ამ აზრთან დათანხმება, მაგრამ სჯობს, სიმართლეს თვალებში შევხედოთ. ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ძალზე ძნელია, ახლობლის დაკარგვით გამწარებულ ადამიანს უმტკიცო სიმართლე. მით უმეტეს, თუ ეს სიმართლე მათ სატკივარს უფრო ამძაფრებს. ისიც სავარაუდოა, რომ გაფიცვის ყველა მონაწილე ერთდროულად ვერ მიიღებს მათთვის სასურველ ამომწურავ პასუხს, რადგანაც, ალბათ, მათ მიერ წამოყენებული საკითხები ვერ გადაიჭრება ერთბაშად და ერთგვაროვნად. რა თქმა უნდა, საჩივართა დაწვრილებით განხილვა და მათი სრულყოფილად გამოკვლევა იურისტების საქმეა, ჩვენ კი ზნეობრივი მხარე გვაღელვებს. ნუთუ, ზნეობრივად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ეს გაუბედურებული ადამიანები, რომელთაც ჩინოვნიკურ ენაზე „ხანგრძლივად მომჩივან მოქალაქეთა ჯგუფი" უწოდეს, დღემდე პასუხს ვერ ელირსნენ.

ნუთუ, ზნეობრივია, რომ ჩვენ ლამის მთელი მსოფლიოსგან ვითხოვთ თანაგრძნობას (ამისათვის დიდა ტერეზაც მოვიწვიეთ), მაშინ, როდესაც ჩვენს გვერდით, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფთ ჩვენ თვითონ არ თანავუგრძნობთ. ნუთუ, ზნეობრივია, რომ ისე ვსეირნობთ რუსთაველის გამზირზე, თითქოს ჩვენს თვალწინ გულისმომკვლელ სურათს ვერ ვხედავთ. ნუთუ, ზნეობრივი იქნება, ისე შევხვდეთ ახალი წლის ღამეს საკუთარ ჭერქვეშ, რომ ქართველი ქალები, თუნდაც ერთი მათგანი, უნუგეშოდ, საბრალო მდგომარეობაში, ქუჩაში იყინებოდეს.

და ბოლოს, გვაქვს კი უფლება, რომ მაღალი იდეალებისათვის ბრძოლაში სხვას უმაღლესი ზნეობა მოვთხოვოთ, ჩვენ კი, ჩვენივე დედების და დების სატკივარი უგულისყუროდ დავტოვოთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოვხატავთ რა ჩვენს ზნეობრივ და მოქალაქეობრივ თანადგომას გაფიცულ ქართველ ქალთა მიმართ, ვუცხადებთ გაფიცულთ თანაგრძნობას და ვიზიარებთ მათ გულისტკივილს. ამასთანავე, მოვითხოვთ:

1. საქართველოს სსრ მთავრობის მხრივ, უზენაეს საბჭოს სესიაზე შექმნილი კომისიის მონაწილეობით, მიღებულ იქნას ყველა ღონისძიება, რათა გაფიცულებთან მოლაპარაკების საფუძველზე მიაღწიონ ორმხრივ შეთანხმებას, გადასაჭრელ საკითხებზე პასუხის გაცემის რეალური ვადების დადგენით, რაც გაფიცვის მონაწილეებს მორალურ უფლებას მისცემს, შეწყვიტონ საპროტესტო აქცია.

2. უახლოეს დროში, სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების დაცვით, ობიექტურად იქნას განხილული ყველა საჩივარი და დასკვნა არსებული წესების გათვალისწინებით და გადაეცეთ მომჩივანთ.

3. პრესაში და ტელევიზიაში გამოქვეყნდეს გაფიცულთა ძირითადი მოთხოვნები, საჩივრების არსი, მათი განხილვის შეთანხმებული ვადები და გამოძიების ობიექტური შედეგები.

ჩამოთვლილ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, სრული საფუძველი იქმნება, რათა საქართველოს სსრ სამართალდამცავ ორგანოებს (იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, უმაღლესი სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო) გამოეცხადოთ უნდობლობა ქრათველი ხალხის მიერ და ალიძრას საკითხი საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე, რათა ამ უწყებათა ხელმძღვანელების, აგრეთვე არაობიექტურობაში მხილებული მუშაკების მიმართ მიღებულ იქნას სათანადო ზომები.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ინსტიტუტის სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისა და საქართველოს სახალხო ფრონტის პირველადი ორგანიზაციების გამგეობები.**

# ჩაუშესკუს სისხლიანი კომუნისტური დიქტატურის აღსასრული

მთელი მსოფლიო დიდი მღელვარებით ადევნებს თვალყურს რუმინეთში მიმდინარე მოვლენებს, სადაც რუმინელი ხალხის თავდადებული ბრძოლის შედეგად დაემხო ერთ-ერთი უსასტიკესი ტირანია, რომელიც კი ყოფილა კაცობრიობის არსებობის მანძილზე.

როგორც ცნობილია, ყველაფერი დაიწყო ტრანსილვანიის პროვინციის ქალაქ ტიმიშოარაში, სადაც 16 და 17 დეკემბერს მოეწყო სახალხო გამოსვლები. გამოსვლების საბაბი გახდა ცნობილი სამართალდამცავის, ადგილობრივი რეფორმისტული ეკლესიის წინამძღვარის ლასლო ტეკეშის უმიზეზო გასამართლება. მაგრამ ეს მხოლოდ საბაბი იყო, რადგან გამოსვლების ჭეშმარიტი მიზეზი რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოსახლეობის ის არაადამიანური მდგომარეობა იყო, რომელშიც ჩააყენა იგი ჩაუშესკუს კომუნისტურმა რეჟიმმა. სახალხო მღელვარებების მონაწილეებს მოჰქონდათ შემდეგი შინაარსის ლოზუნგები: „ძირს დიქტატურა!", „მოვითხოვთ თავისუფლებას!" და სხვ. ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო ეს საპროტესტო გამოსვლები: მილიციის ძალების გამოყენების შედეგად მრავალი ადამიანი დაიღუპა და დაიჭრა.

21 დეკემბერს, ბუქარესტში რესპუბლიკის სასახლის წინ მდებარე მოედანზე გაიმართა ჩაუშესკუს მიერ ინსცენირებული ოფიციალური მიტინგი, რომლის მონაწილეებმაც ტიმიშოარაში „პროვოცირებული უწესრიგობანი" ტერორისტებსა და უცხოეთის სპეცსამსახურების აგენტებს დააბრალეს. ამავე დროს, მოედნის მიმდებარე ქუჩებში შეიკრიბა ათასობით ახალგაზრდა, რომლებიც შეძახილებით — „ტიმიშოარა, ტიმიშოარა!" — გაემართნენ მიტინგის მოწყობის ადგილისაკენ. მოედანზე საპროტესტო მსვლელობის მონაწილეებს წინ აღუდგნენ მილიციის სპეციალური რაზმები, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს უიარაღო მანიფესტანტებს. დაიღუპა და დაიჭრა ასობით ადამიანი. იმ საღამოსვე მთელი ქალაქი ქუჩებში გამოვიდა, მოეწყო მრავალათასიანი მანიფესტაციები. მეორე დღეს ჯარის ნაწილები ხალხის მხარეზე გადავიდნენ, ჯარისკაცების დახმარებით დემონსტრანტებმა მშვიდობიანად „აიღეს" ტელევიზიისა და ტელეგრაფის შენობები. რუმინეთის ტელევიზიამ, პირველად თავისი არსებობის მანძილზე, დაიწყო ობიექტურად გაშუქება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა. ტელეეკრანებზე მთელი დღე-ღამის განმავლობაში გადასცემდნენ პირდაპირ რეპორტაჟს სასახლის მოედნიდან, სადაც მიმდინარეობდა მრავალათასიანი მიტინგი. დიქტატორი ჩაუშესკუ თავის მეუღლე ელენასთან ერთად გაიქცა და აპირებდა ქვეყნის დატოვებას, მაგრამ აჯანყებულებმა ისინი მალე დააპატიმრეს. თუმცა რეჟიმი ასე ადვილად არ აპირებდა დანებებას. 22 დეკემბერს, საღამოს, ბუქარესტში შეიჭრნენ დიქტატორის ერთგული უშიშროების სამსახურის — „სეკურიტატას" — ბანდები და სროლა აუტეხეს უიარაღო მანიფესტანტებს და ხალხის მხარეზე გადასული ჯარის ნაწილებს. გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ქვეყნის სხვა ქალაქებშიც — ბრაშოვში, არადში, იასიში, ტიმიშოარაში.

ქვეყანაში ძალაუფლება ხელში აიღო იატაკქვეშეთიდან გამოსულმა ეროვნული ხსნის ფრონტმა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და რუმინეთის ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც გადაყენებულნი იყვნენ თავისი პოსტებიდან ჩაუშესკუს მიერ.

ერთი კვირის განმავლობაში შეტაკებების შედეგად დაღუპულია უკვე 70 ათასზე მეტი და დაჭრილია 300 ათასამდე კაცი. ასეთი დიდი მსხვერპლი „სეკურიტატას" ბანდების არაადამიანური სისასტიკის შედეგია. აღსანიშნავია ასეთი ფაქტი. ერთ-ერთი ხალხმრავალი მიტინგის მიმდინარეობისას ხალხში შეიჭრა რამდენიმე სასწრაფო დახმარების მანქანა, საიდანაც ექიმების ხალათებში გადაცმულმა უშიშროების სამსახურის ტერორისტებმა მოულოდნელად სროლა აუტეხეს გაოცებულ ხალხს, სულ რაღაც 5 წუთში დაიღუპა 100-მდე ადამიანი.

25 დეკემბერს თავისუფალმა რუმინულმა ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ გაიმართა საიდუმლო სასამართლო ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკოების საქმის თაობაზე. მათ ბრალი დასდეს რუმინელი ხალხის გენოციდში, ხალხის წინააღმდეგ შეიარაღებული აქციების მომზადებაში, ეროვნული ეკონომიკის მოშლაში მაშინ, როდესაც რუმინელი ხალხი ფაქტიურად შიმშილობდა, ჩაუშესკუების ოჯახი წარმოუდგენელ ფუფუნებაში ცხოვრობდა, ხოლო შვეიცარიის ბანკებში მათ ანგარიშზე 1 მილიარდამდე დოლარი ინახებოდა.

ამ მძიმე დანაშაულისათვის ერისა და სახელმწიფოს წინაშე ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკუებს მიესაჯათ სიკვდილით დასჯა, ქონების კონფისკაციით. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

ქვეყანას, ამჟამად, დროებით ხელმძღვანელობს ეროვნული ხსნის ფრონტის საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია იოანე ილიესკუ. აღსანიშნავია ის, რომ ილიესკუ მოსკოვში სწავლობდა 50-იან წლებში და პირადად იცნობს მიხეილ გორბაჩოვს... როგორც დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ოფიციალურად გამოცხადდება, რომ აპრილში მოეწყობა თავისუფალი არჩევნები და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა შეიცვლის სახელწოდებას: სიტყვა „სოციალისტური" ამოღებული იქნება. ქვეყანა კი კვლავ რჩება ვარშავის ხელშეკრულების ერთგული...

# ქრონიკა

1989 წლის 28 დეკემბერს, თბილისში, მეტროპოლიტენის სადგურ „ს. ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს სახალხო ფრონტის თბილისის ვლდანის რეგიონალური სახალხო ფრონტის ინიციატივით გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა რუმინელი ხალხის ბრძოლას დიქტატურის წინააღმდეგ. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც გამოხატა თანაგრძნობა ამ ბრძოლაში დაღუპულებისადმი და გამოუცხადა სოლიდარობა რუმინელ ხალხს.

**კაუნასი.** ლიტვის ქალაქ კაუნასში ჩატარდა МАДО-ს (დემოკრატიულ ორგანიზაციათა საერთაშორისო ასოციაცია) სამუშაო ჯგუფის სხდომა. ამ ასოციაციის შემადგენლობაში იმპერიის ყველა კუთხეში არსებული 100-ზე მეტი ორგანიზაციაა გაერთიანებული. ჯგუფის სხდომას მეთვალყურის სტატუსით ესწრებოდნენ საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენლები აბესალომ ტუღუში და თემურ ნერგაძე. სხდომის ძირითადი თემა იყო იმპერიის დღევანდელი მდგომარეობის განხილვა, აგრეთვე დიდი ყურადღება დაეთმო მომავალ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარებისათვის მზადყოფნას.

სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით МАДО-ს კონფერენცია გაიმართება 2-3 თებერვალს ლიტვის ქალაქ სნეჩკუსში.

საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ საიუდისის ცენტრის საბჭოს წევრებთან, სეიმის პოლიტიკურ მრჩეველთან. შეხვედრის დროს დაისახა კონკრეტული გზები სსფ-ს და საიუდისს შორის კონტაქტების გასაღრმავებლად.

# მიმართვა

**რუსეთის** სისხლიანი იმპერიის ჯალათები აგრძელებენ ქართველი ერის გენოციდს. სამხედრო ნაწილებში გრძელდება ქართველ ჯარისკაცთა ხოცვა-ჟლეტა, წამება. ამჯერად ჯალათების მსხვერპლი გახდა ყაზბეგელი ახალგაზრდა კახა ბაზალი...

საქართველო უარყოფს რუსეთის სამხედრო ბეგარას. ამიერიდან არცერთი ქართველი, არცერთი მოხევე აღარ იმსახურებს ოკუპანტების არმიაში. საქართველოში უნდა გაუქმდეს სამხედრო კომისარიატები. ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც მოტყუებით, იძულებით ან დაპირებით ხელს შეუწყობს ქართველი ახალგაზრდების გარეკვას სასაკლაოზე, ან მონაწილეობას მიიღებს სამხედრო ბეგარაზე უარის მთქმელთა დევნაში, გამოცხადდება ერის მოღალატედ. ძირს ჩვენი ხალხის სისხლში ხელებგასვრილი საბჭოთა ოკუპანტები, ძირს მათი ხელშემწყობი მოღალატე ქართველები. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

**საქართველოს ჰელსინკის კავშირი,**
**წმინდა ილია მართლის საზოგადოება.**

# არმიაში... შვილის ნაცვლად

დღეს საფოსტო ყუთიდან ამოვიღე ჩემი ვაჟის სამხედრო სამსახურში გაწვევის უწყება. ეს არ არის ფერადოვანი, პატრიოტულ ტონში დაწერილი „მოწვევა", რომელიც ტელეგადაცემის — „ვემსახურები საბჭოთა კავშირს" — იმიჯის შესატყვისი იქნებოდა, არამედ დასაშინებელი შტამპით აღჭურვილი ამაზრზენი ქაღალდი: „გამოუცხადებლობის შემთხვევაში კანონის ძალით პასუხისგებაში მიეცემით". ეს პატარა შტამპი გადაწონის ყველა სარეკლამო ფილმსა და ბროშურას საბჭოთა არმიის შესახებ. ის წინასწარვე აგებინებს წვევამდელს, რომ ქებულ „მამაცობისა და პატრიოტიზმის სკოლაში" ყველაფერი იძულებაზეა დაფუძნებული და თუ პატარა ბიჭს და შემდეგ ყმაწვილს არასაკმარისად დააკარგვინა პიროვნული სახე ნერვებდაწყვეტილმა ქალთა პედკოლექტივმა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არმია დაასრულებს მის ფორმირებას.

გარდაქმნის წლებში რადიკალურად შეიცვალა საბჭოთა სამხედრო დოქტრინა, ხოლო სამხედრო ფიცის ფორმულირება იგივე დარჩა. ის არ აძლევს ჯარისკაცს უფლებას, რომ საკუთარი გონებითა და გულით მოახდინოს მეთაურის მორალური არასრულფასოვნების კომპენსირება. უფრო სწორად, უფლებას კი აძლევს, მაგრამ საკუთარი სიცოცხლის ფასად, თუ გავითვალისწინებთ იმ განაჩენს, რომელსაც მას ბრძანების შეუსრულებლობისთვის გამოუტანს სამხედრო ტრიბუნალი.

სამხედრო ფიცის ფორმულირება თავიდან უნდა მოხდეს და ის უნდა ეხმიანებოდეს ჰიპოკრატეს ფიცს — არ ავნო მშვიდობიან ადამიანს!

ჩემი შვილი მე ჰუმანისტურ პრინციპებზე აღვზარდე. მან შეითვისა გარდაქმნის იდეები და სული. იგი არ დაარტყამს სასანგრე ნიჩაბს უიარაღო კაცს, როგორც ეს 1989 წლის 9 აპრილს მოხდა თბილისში. აქედან გამომდინარე, მან თავის თავზე უნდა განიცადოს იმ კანონის „სასჯელის გარდუვალობა", რომელიც მის სინდისს ეწინააღმდეგება.

მე არ მინდა, რომ საფოსტო ყუთიდან კიდევ ერთი ქაღალდი ამოვიღო ჩემი ვაჟის დაღუპვის ცნობის შესახებ, რომელსაც საგანგებო მდგომარეობის დროს ბრძანების შეუსრულებლობის გამო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით დახვრეტენ. ამიტომ მე თხოვნით მივმართავ სამხედრო მინისტრს, დამრთოს ნება, ჩემი ვაჟის ნაცვლად მე გავიარო სამხედრო სამსახური

ვარ ტანკისტი, თადარიგის უფროსი ლეიტენანტი. გარწმუნებთ, მე არ შევლახავ ოფიცრის ღირსებას და თუ გაიცემა ბრძანება, რომ გაისრიოს მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩემი ტანკი ადგილიდან არ დაიძვრება, მე კი აღსრულებული ვალის გრძნობით თანახმა ვიქნები, რომ ტრიბუნალმა გამასამართლოს.

**ა. ლეონოვი,**
**პედაგოგი.**
**ლენინგრადი.**

**(მცირე შემოკლებით გადმობეჭდილია ჟურნალ „ოგონიოკიდან", № 48, 1989).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაძაბულობა გრძელდება

კვლავ გრძელდება დაძაბულობა სამაჩაბლოში. ოსი ექსტრემისტების თავხედობამ ადგილობრივი ხელისუფლებისა და ადგილობრივი მილიციის ხელშეწყობით ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა. გაგაცნობთ დეკემბრის თვეში მომხდარ რამდენიმე შემთხვევას. მასალები მოგვაწოდეს ცხინვალის სახალხო ფრონტისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრებმა:

სამხედროებმა დაარბიეს კეხვის რესტორანი და გაიტაცეს სპირტიანი სასმელების მარაგი; სოფელ კეხვში გადაჭრილ თოფიდან ესროლეს ავთო ჭელიძეს; ცხინვალში დაიჭირეს და ქორწინების სახლის საბილიარდოში (სადაც მდებარეობს ა. ცხოვრებოვის ე. წ. შტაბი) მძიმედ სცემეს გია მიდოდაშვილი; ყამირელების ქუჩაზე ბაბულა ბერუაშვილს დასახოცად შეუვარდა ორი მილიციელი, ემუქრებოდნენ ასევე შვილის მოკვლით; ხუთი შეიარაღებული ოსი თავს დაესხა №1 ქართულ საშუალო სკოლას. დარაჯი ქარუმა ცერაძე გაატიტვლეს და თოვლში ატარეს. სკოლა დალეწეს; რამდენჯერმე ესროლეს ბალების ქუჩაზე მდებარე გოჩალიშვილების ბინას; ფაბრიკის მუშამ ევრაზია ჯიოევამ და მთავარმა ინჟინერმა სოსო ხუგაშვილმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ახალწლამდე არცერთი ქართველი ჩვენს გვერდით!"; ქუჩაში შეიპყრეს ფრიდონ მამაგულაშვილი, სცემეს, გაუჩხრიკეს ბინა და აიყვანეს მძევლად; გერცენის ქუჩაზე თავს დაესხნენ ციცო ტაბატაძის ოჯახს. მის ძმას თ. ტაბატაძეს გაუჩეხეს სახე. მოათავსეს საავადმყოფოში, მაგრამ გამოაგდეს, რადგან ქართველი იყო; სამკერვალო ფაბრიკის ბრიგადირმა ევრაზია ჯიოევამ გალახა პირველი საამქროს ოსტატი ზოია ნოზაძე. იგივე ევრაზია სახალხოდ ტრაბახობს, რომ წიხლი ამოარტყა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვარლამ შადურს; ქართველებს ერეკებიან სამსახურებიდან, მაღაზიებიდან; 4 ათასიანი ბრბო დილიდან გარს შემოერტყა შინაგან საქმეთა საოლქო სამმართველოს შენობას. მოითხოვდნენ ინჯიას მოხსნას. ოფიციოზი დაჰყვა ოსების სურვილს: ინჯია მოხსნეს და მის ადგილზე დანიშნეს ამავე სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი ლიპინი. მისი ნამდვილი გვარია ჩეხოევი. ოსი მილიცია თავს დაესხა სოფელ აფნევს და ავტომატების ცეცხლი დაუშინა. ამ დღეებში კი სოფელ თამარაშენში მოკლეს 17 წლის ვეფხია ღუთარაშვილი.

●

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ცნობა, რომელიც ეხებოდა ვასილ მემარნიშვილის შემთხვევას. მკითხველთა თხოვნით, დაწვრილებით მოგითხრობთ ამ შემთხვევაზე:**

**სააგენტო „მაცნეს" კორესპონდენტმა** ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამმართველოს ჰოსპიტალის ქირურგიულ განყოფილებაში მოთავსებულ ქ. თბილისის საპატრულო საგუშაგო სამსახურის ლეგიონის სპეცდანიშნულების ასეულის თანამშრომელს **ვასო მემარნიშვილს:**

— 23 ნოემბერს (სანქცირებული მიტინგის დღეს) ვიმყოფებოდი ცხინვალის შესასვლელთან, სადაც ადგილობრივ ოს მოსახლეობას შესასვლელი ჩახერგილი ჰქონდა სატვირთო მანქანებით, ავტობუსებითა და საშენი მასალებით. 26 ნოემბერს დღის 4 საათზე შეგვატყობინეს, რომ ადგილი ჰქონდა სროლას სოფელ ოსპრისსა (აქ ცხოვრობს ოსი მოსახლეობა) და ფრისში ოსებსა და ქართველებს შორის. რამდენიმე თანამშრომელი ოპერატიული მანქანით გავემართეთ იმ მიმართულებით. გზა გადათხრილი დაგვხვდა. მანქანიდან გადმოვედით და სროლის მიმართულებით ფეხით წავედით. 200-300 მეტრის დაშორებით იდგა ხის და რკინის ხელკეტებითა და სანადირო თოფებით შეიარაღებული 25-30 კაცით სავსე სატვირთო მანქანა. მათ შორის იყო სამი ფორმიანი ადამიანი. ჩვენი დანახვისას „ზილი" სასწრაფოდ დაიძრა და დაგვიწყეს ოსურად, რუსულად და ქართულად გინება. ჩვენ გავაფრთხილეთ, რომ გაჩერებულიყვნენ და გაფრთხილების მიზნით ჰაერში ვავისროლეთ (ზილიდან რამდენჯერმე გაისროლეს, წინ წავიდნენ და ჩასახვევში მიიმალნენ). იქვე, ახლო მდებარე სასაფლაოზე შეგროვილი ხალხი გავაფრთხილეთ, დაძაბული მდგომარეობის გამო დაშლილიყვნენ, რასაც ისინი მუქარით და გინებით შეხვდნენ. ჩვენ ჰაერში გავისროლეთ. ცოტა ხანში გამოჩნდა რკინისა და ხის კეტებით, სანადირო თოფებით შეიარაღებული 200-300 ოსი ეროვნების წარმომადგენელი, რომელთაც წინ ჯავშანტრანსპორტიორი მოუძღოდა, უკან კი ის „ზილი", რომელიც ჩვენ გაგვექცა. შეიარაღებული ბრბო ჩვენსკენ დაიძრა. როდესაც 100 მეტრზე მოგვიახლოვდნენ, მე გავაფრთხილე, რომ წინ წამოწევის შემთხვევაში გავისროდი. ერთ-ერთმა წამოიძახა: ნუ გეშინია, მოკალით, არ გვესვრისო. „ზილზე" მჯდომმა ოფიცერმა მანქანიდან გამაფრთხილა: არ ისროლო, თორემ გესვრით და ავტომატი მომიღერა. ოფიცერი და ექვსი ჯარისკაცი „ზილიდან" გადმოვიდნენ და ბრბოსგან დასაცავად გარს შემოგვერტყნენ. ბრბომ მოახერხა მათი გარეკვა ისე, რომ ისინი არ დაშავებულან. ამ დროს ერთ-ერთი ოსი თავს დამესხა და ავტომატის ხელიდან წაგლეჯა, ან ჩემსკენ შემოტრიალება მოინდომა. მოხდა ერთი გასროლა ჩემი ავტომატიდან. თავდამსხმელი წაიქცა. როგორც შემდეგ გავიგე, იგი ფეხში იყო დაჭრილი. მე თავში მომხვდა ბლაგვი მასა და ძირს დავეცი. ამჯერად მეორემ მომიღერა ავტომატი. რადგანაც ძირს ვეგდე, ჩემი ავტომატიდან გასროლილი 4 ტყვია თვით მე მომხვდა ბარძაყში (ბარძაყის ძვლის და მაგისტრალური სისხლძარღვების მახლობლად). შემდეგ სამხედროებმა თავისი მანქანით გამომიყვანეს და სასწრაფოში გადამიყვანეს. სასწრაფოს ექიმი წამში მომიბრუნდა, მომაფურთხა და ლორი მიწოდა. სასწრაფოს მანქანა „ადამონ ნიხასის" წევრებმა გააჩერეს (თვითონვე დაადასტურეს ამ ორგანიზაციის წევრობა), შემოვიდნენ მანქანაში, ერთმა სახეში გამარტყა ხელი, მეორემ ტალახიანი ფეხი კისერზე დამაბიჯა. რას ჩადიხართ, ადამიანები არა ხართ-მეთქი, რომ წამოვილუღლუღე ნახევრად გონდაკარგულმა, გვერდით მჯდომმა სანიტარმა გოგონამ, რომელსაც ჩემი მაჯა ეჭირა, რუსულად ჩამძახა: „ზამოლჩი, სობაკა". მილიციის სამმართველოსთან სასწრაფო კვლავ გააჩერეს. მანქანაში შემოვიდა მაიორი გია სანაკოევი და მისი მოადგილე (გვარი არ მახსოვს). მოადგილემ წიხლი ჩამარტყა, ლორი მიწოდა და ექიმს წინადადება მისცა, სადმე იქვე გადავეგდე. რა მნიშვნელობა აქვს, სად მოკვდებაო, — იყო ექიმის პასუხი. საავადმყოფოს ეზოში უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ერთ-ერთმა წამოიძახა: ამ ქართველმა ოსის სისხლი დაღვარა და ამაღამ უნდა მოკვდესო. როგორც ჩანს, ხალხმა დაიჯერა, გააკეთა დერეფანი და საკაცის გატარებისას, მასზე მწოლიარეს მაფურთხებდნენ, მაგინებდნენ. საავადმყოფოს ოთახში რკინის მაგიდაზე დამაწვინეს, მედპერსონალის 20-25 წარმომადგენელი და 50-60 ქუჩიდან შემოსული ადამიანი გარს შემომეხვია. ისევ მაგინებდნენ, სახეში მაფურთხებდნენ, ერთი, თეთრ ხალათიანი ქალი კი დანით გამორბოდა ჩემს საცემრად, მაგრამ ის გააჩერეს. ქუჩიდან ნასროლი ქვებით ჩაამტვრიეს ფანჯრები, ჭუჭყიან, დაუმუშავებელ ჭრილობაში ტამპონი ჩამიდეს. მე ჭრილობის დამუშავება ვითხოვე — შენ რა, კიდევ სიცოცხლის იმედი გაქვს? ოთახში მყოფი „ადამონ ნიხასის" წევრები მოითხოვდნენ ჩემს მე-7 პალატაში გადაყვანას. ერთ-ერთი ექსპერტის კითხვაზე — მაძლევ გარანტიას, რომ ეს კაცი ცოცხალი დარჩებაო? — მთავარმა ექიმმა უპასუხა: „მე მხოლოდ მე-7 პალატაში გადაყვანის გარანტიას ვიძლევი". ცოტა ხანში მოვიდა ადგილობრივი შინაგანი ჯარების ორი თანამშრომელი. ერთ-ერთს ქართლოსი ერქვა. იმ იმედით, რომ ქართლოსი ქართველი იქნებოდა, ვთხოვე მას, როგორმე მოეხერხებინა ჩემი აქედან გაყვანა. ქართლოსმა დამაიმედა, რომ არაფერს დამიშავებენ, მაგრამ იგი მაინც მოვა ნახევარ საათში და თავის სახლში გადამიყვანს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთმა დამლაგებელმა ქალმა გამოთქვა გულისწყრომა თავისი მოძმეების ასეთი არაადამიანური საქციელის გამო. ცოტა ხანში შემოვიდა უფროსი ლეიტენანტი თუ კაპიტანი, არ მახსოვს, ბესტაევა (ბავშვთა ოთახის ინსპექტორი) და შემომთავაზა ხელი მომეწერა დოკუმენტზე, რომელშიც ეწერა, რომ მე არავის მიმართ არავითარი პრეტენზია არ მაქვს. ამ დროს „ადამონ ნიხასის" წარმომადგენელი დანით მემუქრებოდა. იძულებული ვიყავი, ხელი მომეწერა. მაინც არ იცოცხლებო, — მითხრა და წავიდა. შემდეგ, უნდოდათ ჩემთვის ზურგში ნემსის გაკეთება, მე შიშის მომიზეზებით უარი ვთქვი. ძალით გაუკეთოთო, — მომესმა ხმა. ამ დროს ოთახში შემოვიდნენ სამხედრო პირები — ერთი კაპიტანი და 8 ჯარისკაცი ავტომატებით შეიარაღებული. მოითხოვეს ჩემი საავადმყოფოდან გაყვანა. ექიმი წინააღმდეგობას უწევდა, ხვალ დილით წაიყვანეო. კაპიტანმა უთხრა: ვიცი, ხვალ წაყვანა კი არა, წაღება მომიხდებაო. სამხედროებმა თავისი გაიტანეს. მათი თანხლებით, საკაცეზე მწოლიარეს ეზოში ბრბო ისევ მუქარითა და გინებით შემხვდა. სასწრაფოს მანქანით ჩამომიყვანეს გორში, სადაც დიდი ყურადღებით მკურნალობდნენ, ასევე ამ ჰოსპიტალშიც. ამჟამად თავს უკეთესად ვგრძნობ, ტკივილებმა გამიარა. დიდ მადლობას ვუხდი გორისა და თბილისის საავადმყოფოს ექიმებს.

კიდევ კარგი, ვასო მემარნიშვილის ამბავი დროზე გაახმაურეს მისმა მეგობრებმა, თორემ ჯარი დაჭრილის გამოყვანისათვის ნამდვილად არ შეიწუხებდა თავს.

# ისტორიული სინამდვილე

**გთავაზობთ ნაწყვეტებს სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებიდან, რომელიც გამოიცა 1938 წელს თბილისში.**

ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთ თარეშობასთან. ოსები თითქმის ყველა თავად მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ, შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადასხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა, ბარად იშვიათად ცხოვრობდნენ.

ჩემს ხსოვნაში ოსები ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლები იყვნენ. თხა იყო იმათი ღმერთი. თხის თავი დიდის რქებით იყო დასვენებული სადმე დიდსა უზარ-მაზარ და დაბურულს ცაცხვის ან მუხის ხეზე. აქ იყრებოდა ხალხი, ლოცულობდა და თაყვანს სცემდა თავის ღმერთსა. დიდი ჯაფა დასჭირდათ ქართველს მღვდლებს, რომლებიც მაშინ მისიონერობდნენ, რომ მოესპოთ კერპთაყვანისცემა და გაევრცელებინათ ქრისტიანობა. ქართველმა მისიონერებმა მშვენივრად იცოდნენ ოსური ენა და ძალიან მალეც გაავრცელეს ქრისტიანობა.

ოსები მთა-ტყეებში ცხოვრობდნენ; სახნავ-სათესი ადგილი არა ჰქონდათ, მაგრამ სადაც კი ვაკე ადგილს გააახოვებდნენ, საუცხოვო მოსავალს იძლეოდა საუკუნოებით დასვენებული ადგილი. ოსების ნაწილი ქურდობა-ავაზაკობას მისდევდა. მათ შორის სახელი იმასა ჰქონდა გავარდნილი და ვაჟკაციც ის იყო, ვინც ქურდობა-ავაზაკობაში იყო დახელოვნებული. ის სოფლები, რომლებითაც მოდებული იყო სამაჩაბლო და საერისთავო მამულები, აკლებული იყო გაყაჩაღებულ ოსებისაგან. ძილი და მოსვენება არა ჰქონდა სოფელს. სოფელიც მაგრა იდგა, ბევრს ჰხოცავდნენ, იჭერდნენ, მაგრამ ახალ-ახალი ბრბო ესეოდა, ამათ ტყვედ არავინ მიჰყავდათ, ვისაც მოასწრობდნენ, დედიშობილს გახდიდნენ, წაასხავდნენ პირუტყვს საქონელსა, თუ გაუძალიანდებოდა ვინმე, სიცოცხლეს ასალმებდნენ. თამამნი და ვაჟკაცნი იყვნენ უიარაღო ხალხთან. თუ კი შეატყობდნენ, რომ სოფლიდან მდევარი წამოვიდა იარაღიანი, ისინი მაშინვე ტყეს მიატანდნენ, შეეფარებოდნენ ჩირგვებში და იქიდან ესროდნენ. მაგალითი არა ყოფილა, რომ ოსი ავაზაკი პირდაპირ დახვედრიყოს იარაღიანს მოპირდაპირეს. მაგრამ ამასაც წამალი უპოვეს. სოფელში მონადირე ბიჭები იყვნენ, სანადიროთ დაგეშილი ძაღლები ჰყავდათ; როცა ყაჩაღი ოსები ტყეს შეაფარებდნენ თავსა და პირდაპირობას ვერ უწევდნენ იარაღიან სოფლელებსა, სოფლის მდევრები მონადირე ძაღლებს წაიმძღვარებდნენ, ძაღლები სუნით მიაგნებდნენ ყაჩაღების ბინასა და მდევარნიც ესროდნენ თოფს ჩირგვებში დაბინავებულს ყაჩაღებსა. ხშირად იარაღს დააყრევინებდნენ და თხებივით იჭერდნენ.

ყაჩაღი ოსები დღისით ტყეში თუ დაუხვდებოდნენ მიმავლებს თორემ სოფელში ჩასვლას ვერა ბედავდნენ, რაკი მოღამდებოდა, ცოტა რამ ხანი გავიდოდა და სოფელს პირველი ძილი დააწვებოდა, მაშინ გაჩნდებოდნენ სოფლად და რასაც მოასწრობდნენ, მიჰქონდათ. ბევრჯელ ძარიდან, სიმინდს ჩამოყრიდნენ, ხურჯინებს დაავსებდნენ და გაიპარებოდნენ. დაირღვა მყუდროება სოფლისა, ლეკს მორჩნენ და ოსებმა უარესი დღე დააყენეს.

აი ამ გაჭირვებულს დროს სოფელს პატრონი გაუჩნდა. იმ ჟამად დირბში ცხოვრობდა ახალგაზრდა კაცი, ტარას მგალობლიშვილი. ამან შეადგინა პატარა რაზმი თავისუფალ მონადირეებისა, მდევრებისა, თვით გამოჩენილი მონადირე და მსროლელი იყო. მასთან მეზრდილი იყო შიო ტეფნაძე, ტარასზე არა ნაკლები მონადირე და მსროლელი. აი ეს პატარა ჯგუფი ტარას მგალობლიშვილის მეთაურობით გაუმკლავდა ოსთა თარეშსა. მაგრამ ეს ისეთი საყურადღებო ხანაა და ისეთი ვაჟკაცობა ჩაიდინა ტარასმა თავისი შიოთი, რომ ამას ცალკე წერილი უნდა ვუძღვნა.

ამ ჟამად რომ უპატრონოა სოფელი, ამას ყველა ჩვენგანი გრძნობს, მუდამ იმას ვჩივით და ვსტირით, რომ მივხედოთ სოფელსა, სოფელი იყვლიფება, მამულ-დედული ეცლება ჩვენს გლეხს ხელიდან და ფეხქვეშიდან; ვჩივით ინტელიგენცია გაურბის სოფელსაო*.

თუ მეოცე საუკუნეში სოფელი უპატრონოა, თუ ამჟამად, როდესაც ჟურნალ-გაზეთობა გაფაციცებით ადევნებს თვალს ყოველს სოფლის მოვლენას, ამბავსა, ყოველს წვლილს სოფლის ცხოვრებისას ააშკარავებს გაზეთის საშუალებით და ხდის საზოგადოების საყურადღებოდ და მაინც კიდევ ჩვენი სოფელი ჩამორჩენილია. მას წყლულს ვერვინ უშუშავს, — აბა მიბრძანეთ, რა ყოფა-ცხოვრებაში იქნებოდა სოფელი ორმოციან და სამოციან წლებში, როცა ჟურნალ-გაზეთების ხსენება არც კი იყო, გარდა „ცისკრისა", რომელიც მუდამ სულთმობრძავი იყო; თუმცა სამოციან წლებში ახალგაზრდობა აჟღერდა, დატრიალდა, გამოვიდა „საქართველოს მოამბე" და „დროება", მაგრამ სოფელსა და მაშინდელ ახალგაზრდობის შორის დიდი საზღვარი იდო.

მაშინდელ სოფელს სწეწავდნენ ვაჭრები, დიამბეგები, ათასი მოვახშენი და ავაზაკები. სოფელი თვით იყო თავისი პატრონი, გაჭირვებაში მშველელი. სოფლის გაჭირვებას თითქოს მიეშველებოდა დიამბეგი თავის იასაულებით და ამალითა, მაგრამ შველის მაგიერ მათრახით ატყავებდა: თქვენ თვით ხართ ავაზაკნი, ინახავს იმათ სოფელი, არ გინდათ მდევარი დაადევნოთ, დაიჭიროთ ავაზაკები და ალაგმოთ ისინიო. როცა მოახსენებდნენ: ბატონო, ყოველივე ამას ვასრულებთ, მაგრამ რა ვქნათ, მინდორ-ველს ხომ თავს ვერ დავანებებთ, შემუშავება უნდა, ნამუშევარს სახლში შემოტანა, რომ გავუძლვეთ ხარჯებსა. ჩვენ რომ ავაზაკების დევნას დავადგეთ, ვიღამ იშრომოს, ვიღა გაუძლვეს ხელმწიფეს, ერს, ბერსაო. მაგრამ კვლავ მათრახი, ცემა-ტყეპა!..

ოსები ნელ-ნელა დაიძვრნენ მთებიდან და ხეობებიდან და ჩამოესახლნენ ქართლის განაპირა სოფლებთან. მთელი კალთები დიდის მთებისა ჩრდილოეთის მხრივ იმათ დაიჭირეს. როგორც წინა წერილში ვსთქვით, ოსები გამოვიდნენ სამაჩაბლოსა და საერისთავო მთებიდან, დაესახლნენ ფალავანდიანთ, ხერხეულიძიანთ და სხვა თავად-აზნაურთა მამულებში, წრესავით შემოერტყნენ გორისა და დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილსა. ოსების ნაწილი ქურდობას მისდევდა; არამც თუ ქართლის სოფლებში ქურდობდნენ, ერთმანეთშიაც, თავის სოფლებშიაც კი ქურდობდნენ. ქურდობას ჯანი გავარდეს, ავაზაკობდნენ და შიშის ზარსა სცემდნენ ქართლის სოფლებსა, რამდენიმე ბრბო იყო შემდგარი სხვადასხვა მხარესა, თითო ბრბოში ხუთიდან ათ კაცამდე იყო. ჩაუსხდებოდნენ შარა გზებში მგზავრებსა და უმოწყალოდ სცარცვავდნენ; უკაცრავული სიტყვაა, პერანგის ამხანაგის სანაბრად სტოვებდნენ. თუ გაუძალიანდებოდა ვინმე, სიცოცხლესაც ასალმებდნენ. საქმე ის იყო, რომ ოსი ავაზაკები ვაჟკაცურად არ უხვდებოდნენ; არჩეული ჰქონდათ შარა გზის პირად ტყით დაბურული ადგილები; ამისთანა ადგილებში ჩასაფრდებოდნენ, დამშვიდებულ მგზავრს იქიდან ესვროდნენ თოფსა, მოუკლავდნენ ცხენსა, ან ურემში გაბმულს ხარ-კამეჩსა და თავზარდაცემული მგზავრის გაძარცვა ადვილი იყო.

იყვნენ ისეთი ავაზაკებიც, რომელნიც ბრბოს არ ადგებოდნენ. ორი-სამი, ან ერთი, დადიოდნენ ტყე-ტყე და გზის პირად ბინადრობდნენ. ამისთანა ავაზაკებთაგან შესანიშნავნი იყვნენ კანი და ბისტი. ამ ორმა ოსმა რამდენიმე წელიწადი ითარეშეს, შიშის ზარი დასცეს სოფლებს, მახსოვს, როცა ბავშვები გვიანობამდე არ დავიძინებდით, მშობლები გვაშინებდნენ: „დაიძინეთ თორემ საცაა კანი და ბისტი მოვლენ და წაგიყვანენო". მოგვეცათ ღვთის წყალობა, ჩვენ მალე გავკრავდით სუნგალსა და მივეცემოდით ძილსა.

კანმა და ბისტმა ისე დაიბრიყვეს ქართლი, რომ მოვიდოდნენ რომელიმე სოფელში, დაიბარებდნენ მამასახლისს და თავ-კაცებსა, გააწერინებდნენ ხარჯსა და დაუნიშნავდნენ ვადასა: თუ ამა და ამ დროს ამდენ-ამდენი ფული არ გამოგვიტანიათ, სოფელს ავიკლებთ და თქვენც დაგხოცავთო. ამას გარდა, ვინემ ხარჯს მოჰკრეფდნენ, სოფელს დანიშნულ ალაგას მოჰქონდა კანი და ბისტისთვის სადილ-ვახშამი დიდკაცური, ბოლოს როგორც იყო დაიჭირეს და „კნუტს" ქვეშ ამოართვეს სული. სოფელმა პატარა ხანს მოისვენა. მაგრამ მალე გაჩნდა სალა-ოსი. ეს მარტოდ, მარტო ტლუდ დადიოდა, უამხანაგოდ. საშინელი მარდი და გამბედავი კაცი იყო, თამამად შედიოდა სოფელში და ჰკრებდა ხარჯსა, თითქოს ოსმალეთის ფაშა ვინმეაო. ცხინვალიდან მოკიდებული მთლად ლიახვის მარჯვენა ნაპირს მდებარე სოფლებში — ორი ნიქოზი, ორი ხეითი, ფხვენისი, შინდისი, ყილქცეული და ძლევის ჯვარი რიგ-რიგით აძლევდნენ ხარჯსა.

ტყეში შეშის, ან ფიჩხის, ან სხვა ხის მასალის გამოსატანად სოფლობრივ მიდიოდნენ — ოცი-ორმოცი ურემი ძაღლებით და იარაღით. როცა ესე ერთად მიდიოდნენ, ავაზაკები ვერ შებედავდნენ ხოლმე, მაგრამ თუ ერთს ან ორს ურემს მოასწრობდნენ, უსათუოდ გადმოუდგებოდნენ, გახდიდნენ ჩოხებსა, წაართმევდნენ ცულებსა და თუ ულლიდან ხარს ან კამეჩს არ გამოუშვებდნენ, დიდი მადლობა უნდა გადაეხადნათ ავაზაკისათვის და სალმთო გადაეხადნათ სოფელში.

აი ამისთანა დროს გამოჩნდა ფრონის ხეობაზე, სოფლის გულშემატკივარი კაცი ტარასი ანდრიას ძე მგალობლიშვილი, რომელმაც თავისი ყმაწვილ კაცობა სოფელს შესწირა, თავისთავად იკისრა სოფლის ჭირ-ვარამის შემსუბუქება, მისი შველა და დახსნა გაჭირვებისგან. ის ჯერ კიდევ თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა ყოფილა, როცა ალბულაღის სამხედრო სკოლა დაუმთავრებია. ალარსად წასულა და სოფლად დატრიალებულა. მთელ დღეს თურმე ტოლ-ამხანაგებთან ნადირობაში ატარებდა. ისე გაიწაფა თოფის სროლაში და სხვა იარაღის ხმარებაში, რომ ცალი არა ჰყავდა. სად და როგორ ნიშანს დაუნიშნავდით, რომ იმას ტყვია არ მოერტყა, უცნაურად ჰქონდა გაკვეთილი, თოფის თუ დამბაჩის სროლა: ჩახმახზე შეაყენებდა თოფსა ამომიზნამდე, თვალით გამოზომავდა მიზანსა, მიდება თოფისა მხარზე და სროლა ერთი იყო. სწრაფი იყო, როგორც ვეფხვი, გამქცევი, გადამხტომი და ცხენოსანი უებრო. ცხენი ჰყავდა დაგეშილი ისეთ ნაირად, რომ როცა უნდოდა, კაცს ძაღლივით გამოუყენებდა, ცხენი კბილით მივარდებოდა. ეტყოდა გადაქელე ნიშავ, (შუბლთეთრი ცხენი ჰყავდა) გადაჰქელავდა. ტარასს არ ჩამოუვარდებოდა მასთან თანმეზრდილი ტახტისძირელი გლეხი (ტახტის ძირი და დირბი მეზობელი სოფლებია) შიო ტეფნაძე. ეს ორი კაცი ვაჟკაცობით მთელი ხეობის თვალი იყო. იმათ შეადგინეს ყაჩაღ ოსების ასალაგმავად პატარა დასი — რაზმი, რომელიც შესდგებოდა სულ ხუთი-ექვსი კაცისაგან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მარტო ტარასი და შიო უდგნენ კრიჭაში ოსთა ბრბოებსა. ამ კაცებმა თავისთავად იკისრეს სოფლის პატრონობა, გაიწირეს თავები და მუდამ ტყვიისთვის ჰქონდათ მიშვერილი გული, ესენი ჩინ-ტემლაკებისათვის არ იბრძოდნენ, არც დაეძებდნენ არავის ქება-დიდებასა, სრულიად უანგაროთ იღვწოდნენ. ჩემის აზრით ამისთანა კაცების დავიწყება არ არის კარგი, ამათაც თავის დროზე შეუტანიათ თავისი წვლილი შრომისა თავის ხალხის საკეთილდღეოთ, მისი ჭირ-ვარამის შესამსუბუქებლად. სოფლის მოყვრების არ დავიწყება, სულმნათის შოთას თქმისაებრ, „არ ოდეს გვიზამს ზიანსა".

იქნება ბევრმა სთქვას: რას ჩმახავს, რაებს სწერამს ვიღაც ტარას-შიოზეო, მაგრამ არა. იმათ თავის დროზე ბევრჯერ წყლული დაუშუშეს სოფელსა, გადაარჩინეს ავაზაკთა დარბევისაგან, ხოცვა-ჟლეტისგან. ამავე დროს თავის თავზე არა ფიქრობდნენ, თავისთავისათვის არაფერს სარფას არ გამოელოდნენ ავაზაკთა დევნითა. თუ ნადავლს იშოვნიდნენ, ან ავაზაკთაგან დარჩებოდათ მათი ნადავლი, სოფელში მიჰქონდათ, სასოფლოდ მიდიოდა ეს ნადავლ-ნაშოვარი...

---

*** ყველგან სადაც ავტორი აწმყოზე ლაპარაკობს, ცხადია იგულისხმება ამ მოგონებათა პირველი დაბეჭდვის პერიოდი (1910 წ.) — რედაქ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ენა — სახელმწიფო ენა

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ დღევანდელ საქართველოში ქართული ენისათვის ზრუნვა ძალუძს ყოველ ადამიანს, ყოველ მოქალაქეს, განურჩევლად ასაკისა, პროფესიისა, თანამდებობისა თუ სოციალური მდგომარეობისა. ეს ზრუნვა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს ნაყოფს, თუ მას ექნება საყოველთაო-სახალხო ხასიათი, რაც, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, უზრუნველჰყოფს ოფიციალურ მხარდაჭერასაც.

სახელმწიფო დაწესებულებებში, ქართულ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის პრაქტიკული ხმარება-გამოყენების სურათის შესწავლა უაღრესად საშურია. უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენად რეალურად ახორციელებენ დაწესებულებები საქ. სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც ქართული ენა ჩვენში გამოცხადებულია სახელმწიფო ენად, ხომ არ იჩენს თავს ფორმალური მიდგომა საკითხისადმი? ამ მიზნით უნდა შევისწავლოთ საქმის წარმოება და ქართველ მემანქანეთა შტატების განაწილება რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებში, რათა გამოვლინდეს, თუ რა როლს თამაშობს ქართული ენა.

იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქენი შენიშნავენ ხარვეზებს ამ სფეროში, მათ შეუძლიათ განცხადებებით და კოლექტიური წერილებით მიმართონ ჯერ თავად დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ხოლო შემდეგ ოფიციალურ ინსტანციებსაც. არ უნდა მოვერიდოთ თანამდებობის პირთა მხილებას, თუ ადგილი აქვს კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას ქართულ ენასთან დაკავშირებით.

საკითხის უფრო უკეთ შესწავლისათვის აუცილებელია დაწესდეს ქართული ენის დაცვის დღე. ამ დღეს მოსახლეობა დაუთმობდა ქართულ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მის ისტორიას, მის კულტურულ როლს, მასთან დაკავშირებულ დღევანდელ ვითარებას ყველა ასპექტში. ამ დღეს დაწესებულებები წარმოადგენდნენ საანგარიშო მოხსენებების სახით რესპუბლიკაში ქართული ენის პრაქტიკული გამოყენების სურათს. გამომცემლობები, სტამბები, წიგნის სავაჭრო წერტები გვიჩვენებდნენ, თუ როგორია ქართული წიგნის ხვედრითი წონა დღევანდელ წიგნის ბაზარზე, წარმოადგენდნენ ანგარიშს, თუ როგორ დგას საქმე ქართული წიგნის, განსაკუთრებით საბავშვო წიგნის და სახელმძღვანელოების გამოცემისა, თუ როგორია ტირაჟები ქართული წიგნისა, თუ რამდენად გაიზარდა ეს ტირაჟები წინა წლებთან შედარებით, თუ რა პრობლემები დგას ქართული წიგნის გამოცემის საქმის წინაშე და სხვ. ქართული ენის დაცვის დღისათვის საქართველოს რადიო და ტელევიზია წარმოგვიდგენდა ანგარიშს ქართული გამოცემების შესახებ, მათი ხარისხისა და აქტუალობის შესახებ, აგრეთვე იმ ხვედრითი წონის შესახებ, რომელიც მათ გააჩნიათ ყოველდღიურ პროგრამებში (იგულისხმება საათობრივი რაოდენობა). ამავე დროს შევისწავლოთ, თუ რა ვითარებაა საქართველოს კინოსტუდიაში ენის თვალსაზრისით.

ამ დღეს განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ზრუნვა ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი შერყვნილ, ბარბარიზმებით დანაგვიანებულ ენაზე მეტყველებს, განსაკუთრებით, რაიონებში. დღევანდელ საერთო-სახმარ ენაში სიტყვებისა და გამოთქმების 50 პროცენტი არაქართულია. ინტელიგენციამ, ახალგაზრდობამ, მუშათა კლასმა, გლეხობამ უნდა იზრუნოს ქართული ენის სიწმინდის დაცვისთვის, რასაც სჭირდება პრაქტიკული ღონისძიებები ლექცია-სემინარების, საუბრების, კრებების სახით, საჭიროა წერა ამ საკითხზე, უნდა მოეწყოს კულტურულ-საპროპაგანდო ღონისძიებები, ენის შემრყვნელნი უნდა ვამხილოთ ყოველნაირად, სატირითა და იუმორითაც კი. შეიძლება გამოვიყენოთ კედლის გაზეთი, კრება-საღამო, კონცერტი და ა. შ.

უნდა შემოწმდეს რესპუბლიკაში აბრებისა და წარწერების მდგომარეობა, უნდა ვიცოდეთ, ხომ არ არის სადმე იგნორირებული ქართული ენა? უნდა ვიზრუნოთ ფოსტა-ტელეგრაფში, რკინიგზის სისტემაში და სხვა საკომუნიკაციო სისტემებში ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის. ქართული ენის დაცვა საყოველთაო-სახალხო მოთხოვნად უნდა გადაიქცეს, რაც შესაძლოა გამოიხატოს როგორც ცალკეულ მოქალაქეთა, ასევე მოქალაქეთა ჯგუფების წერილებსა და განცხადებებში, პეტიციებში და ა. შ.

აუცილებელია აგრეთვე დოკუმენტური ხასიათის კრებულების შექმნა ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, სადაც აისახება ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტები.

ქართულ ენაზე ზრუნვა განსაკუთრებით საშუროა სახალხო განათლების სფეროში. მაგალითად, გამოქვეყნდა დადგენილება №232 ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ქართულ სკოლებში შემცირდა ქართული ენის საათები და გაიზარდა რუსული ენის საათები, გარდა ამისა, ეს დადგენილება არ შეეხო რუსულ სკოლებს, სადაც ქართული ენის სწავლება უაღრესად დაბალ დონეზეა და ფორმალურ ხასიათს ატარებს. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს რუსულ სკოლებში მოსწავლეთა უმრავლესობა ეროვნებით ქართველები არიან (ყოველივე ამაზე ნათლად მეტყველებს საათების ცხრილები რუსულ სკოლებში).

ასე რომ, დადგენილება №232-ის პარალელურად გამოვიდა ყოვლად გაუმართლებელი დადგენილება ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, რომლის შედეგადაც რუსული ენის სწავლება იწყება თავიდანვე; მოემატა საათები რუსულ ენასა და ლიტერატურას ყველა კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის ხარჯზე.

ლოგიკური იქნებოდა მოთხოვნა ქართული ენის სწავლების ანალოგიური გაძლიერებისა რუსულ სკოლებში, სადაც მოწაფეთა დიდი უმრავლესობა ქართველია. ამგვარი მოთხოვნის უკეთ არგუმენტირებისათვის საჭიროა შევისწავლოთ რესპუბლიკის რუსულ სკოლებში მოსწავლე ქართველ ბავშვთა პროცენტული რაოდენობა და ვინაობა, შედგენილ იქნეს სიები ქართველი ბავშვებისა კლასების მიხედვით (სახელი, გვარი, მამის სახელი), მოცემულ იქნეს პროცენტული შეფარდება ქართველი ბავშვებისა მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან ერთად. ეს უკეთ წარმოაჩენს საერთო სურათს რუსულ სკოლებში არსებული მდგომარეობისას და ამით უფრო ნათელი გახდება აუცილებლობა ამ სკოლებში ქართული ენის და ლიტერატურის გაძლიერებული სწავლების შემოღებისა.

ყოველივე ამასთან ერთად უნდა ჩაუტარდეს საუბრები ისეთ მშობლებს, რომელნიც თავიანთ შვილებს აბარებენ რუსულ სკოლებში. რუსული ენის შესწავლის წინააღმდეგი დღეს არავინ არის, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მშობლიური ენის დავიწყების ფასად, მოზარდმა განათლება უნდა მიიღოს მშობლიურ ენაზე, **რაც უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მისი ნიჭისა და უნარის ჯეროვნად გამოვლენისა და განვითარებისათვის.** ეს კონცეპცია დღესდღეობით მეცნიერულადაა დასაბუთებული პედაგოგიკაში. მაგალითად, ამას წინათ აშშ-ში დაყენებული იქნა ასეთი ცდა: იაპონელი ბავშვების ნაწილს პირველდაწყებითი და საშუალო განათლება მიაღებინეს ინგლისურ ენაზე, ხოლო მეორე ნაწილს — იაპონურ ენაზე. ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ იმ ბავშვებმა, რომელთაც მშობლიურ ენაზე მიიღეს განათლება, გაცილებით უკეთ განავითარეს თავიანთი ნიჭი და უნარი, და უკეთესი სპეციალისტებიც გახდნენ, ვიდრე მხოლოდ ინგლისურად აღზრდილნი. თან მთავარია, რომ ინგლისური ენაც უფრო კარგად ისწავლეს ამგვარად აღზრდილებმა. როგორც ზემოთ დავინახეთ, უკანასკნელი ღონისძიებების შედეგად ქართულ სკოლებში იმდენად გაძლიერდა რუსული ენის სწავლება, რომ სრულიად ზედმეტია ბავშვთა მიბარება რუსულ სკოლებში, გარდა ამისა, დღევანდელ საქართველოში საუკეთესო პირობებია შექმნილი რუსული ენის შესასწავლად.

აუცილებელია აგრეთვე ზრუნვა, რათა გაუქმდეს მოსკოვის „ვაკ“-ის უკანონო, ანტიკონსტიტუციური დებულება, რომლის მიხედვითაც მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერ-მუშაკები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ დისერტაციები მთელი დოკუმენტაციითურთ მხოლოდ რუსულ ენაზე. ამისათვის საჭიროა განცხადებებით მივმართოთ „ვაკ“-ის ხელმძღვანელობას და ზემო ინსტანციებს.

საჭიროა აგრეთვე ზომების მიღება, რათა ქართულ ენაზე შეიქმნას საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოები არაჰუმანიტარულ დარგებშიც, ვინაიდან დღესდღეობით ჩვენი ახალგაზრდობა რუსულიდან ცუდად თარგმნილი სახელმძღვანელოების ანაბარადაა დარჩენილი.

ყოველივე ზემოთქმულზე ზრუნვა უზრუნველჰყოფს ქართული ენის სახელმწიფო ენად ქცევას საქართველოში, ჩვენი ხალხის დიდი მონაპოვრის, კონსტიტუციის 75-ე მუხლის ცხოვრებაში გატარებას.

**ზვიად გამსახურდია**

## ქრონიკა

**22 დეკემბერს სოფელ მუხრანის შესასვლელთან ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით, აგრეთვე საზოგადოება „მცხეთელის“ და ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელშეწყობით გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ე. წ. ქსან-წილკანის სარკინიგზო ჩიხის მშენებლობის აღკვეთას, სინამდვილეში კი ეს არის ტრანსკავკასიური მაგისტრალის ერთ-ერთი მონაკვეთი, რაც განხორციელების შემთხვევაში საკმაო მანძილზე გადაკვეთს თბილისის სანიტარულ ზონას, გაანადგურებს მუხრანის უნიკალურ ველს (ერთ დროს აქ ნაკრძალი იყო), მთლიანად დაარღვევს მუხრანის ველის ეკოსისტემას, რომელიც ისედაც კატასტროფის წინაშეა იქ მდებარე ასფალტის ქარხნის გამო.**

**მიტინგის რეზოლუციის ერთ-ერთ პუნქტში წერია, რომ მშენებლობა უბრალოდ კი არ უნდა დაკონსერვდეს, არამედ უნდა მოხდეს მისი სრული ლიკვიდაცია, ე. ი. იმის სრული დემონტაჟი, რაც უკვე აშენდა. ხოლო დარჩენილი თანხით შეძლებისდაგვარად სრულიად უნდა აღდგეს დაზიანებული მიდამო.**

**მიტინგში მონაწილეობას იღებდნენ მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარე რევაზ ხუნწარია, აღმასრულებელი მდივანი ზურაბ ჟვანია, ცენტრალური საბჭოს წევრი გიორგი ბარამიძე, აგრეთვე წმინდა ილია მართლის საზოგადოების წარმომადგენლები.**

●

**25 დეკემბერს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მოეწყო მრავალათასიანი აქცია, რომლის მიზანიც იყო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების გაუქმება საქართველოს მასშტაბით.**

**მიტინგის მონაწილეებმა: ზვიად გამსახურდიამ, ირაკლი წერეთელმა, კონსტანტინე გაწერელიამ, თემურ ქორიძემ და სხვებმა დაგმეს ლენინური ორგანიზაციები, მოუწოდეს ხალხს, გამოსულიყვნენ ამ ორგანიზაციებიდან და უკვე განწმენდილნი აქტიურად ჩაბმულიყვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.**

**ამ დღეს მრავალმა დატოვა კომუნისტური პარტიის რიგებიც.**

---

გამოგიტყდებით, არასოდეს მიმიკუთვნებია საკუთარი თავი საჯაროდ გამოსვლის ოსტატთათვის. მიუხედავად ამისა, ანგარიშგასაწევ გარემოებათა მთელი წყება მაიძულებს ამ სახის წერილით მივმართო გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას.

უპირველესად თვით გაზეთმა მიკარნახა ამის აუცილებლობა, გამოაქვეყნა რა ა. წ. 12 ნოემბერს, მეორე ნომერში ჩემი, ასე ვთქვათ სამსახურეობრივი პორტრეტი არც თუ ორაზროვანი რუბრიკით „ვინ არის ვინ“, რომელიც შინაგან საქმეთა ორგანოების ერთ-ერთი ყოფილი მუშაკის ნაღველ და ბალღამგარეულ მხილებას, უფრო სწორად მის მიერ შეთითხნილ სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებს ეფუძნება, რომლითაც მას არაერთხელ მიუმართავს სხვადასხვა ინსტანციებისათვის. ვფიქრობ, რომ ჩემის მხრიდან ზედმეტი მოკრძალებისა გამო ამ ფაქტის წაყრუება არასწორად იქნება შეფასებული და ამდენად სავსებით უადგილოდ მიმაჩნია.

უნდა აღვნიშნო, რომ ამგვარი მწვავე და „მამხილებელი“ პუბლიკაციისათვის დიდის სიფრთხილითა და საკმაოდ მოხერხებულად შერჩეული ფორმა — „წერილი რედაქციას“ რამდენადმე აძნელებს უშუალოდ მათთან კამათს, ვინც იგი გამოსაქვეყნებლად მოამზადა. თვით წერილის ავტორთან, ვინმე ჩიქოვანთან კამათის გამართვა კი სრულიად უაზროდ მესახება. მის მიერ მოშველიებული ცნობები იმდენად უსაფუძვლოა, რომ წერილის ავტორთან დავა მხოლოდ ჩრდილს მოგვაყენებდა მეც და სხვებსაც იმათ თვალში, ვინც ახლოს იცნობს ჩიქოვანს, ან უმუშავნია მასთან ერთად და ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი მის პიროვნებაში. არც ჩიქოვანსა და ოტირბას, არც ქარდავას და ცვეიბას, რომლებიც ერთობლივად თხზავდნენ ცილისმწამებლურ საჩივრებს ჩემზე და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების სხვა ხელმძღვანელებზე, არ გააჩნიათ იმის მორალური უფლება, რომ იქადაგონ საზოგადოებრიობის სახელით, მით უმეტეს, ისინი არასოდეს ამშვენებდნენ ქართველ და აფხაზ ერებს.

ვერ ვეტყვით რომელი და რა გზით „მოპოვებული“ საბუთების ასლები წარუდგინა ჩიქოვანმა „საქართველოს“ რედაქციას, თუმცა კოლეგებზე „დოსიეს“ შედგენის მისი მდიდარი გამოცდილება საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემზე შეთხზული მისი საჩივრები შვიდმა კომისიამ შეამოწმა და შვიდივე ერთ დასკვნამდე მივიდა. ეს მასალები ინახება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში და სავსებით ხელმისაწვდომი გახლავთ. ასე, რომ როგორც გაზეთ „საქართველოს“, ასევე სხვა ბეჭდვითი ორგანოს ნებისმიერ თანამშრომელს საშუალება აქვს დაწვრილებით გაეცნოს ამ მასალებს, ობიექტური დასკვნა გააკეთოს დამოუკიდებლად და არა ორგანოებიდან დათხოვნილი გამძვინვარებული ადამიანის ჩვენებაზე დაყრდნობით, რომელმაც დიდი ხანია დაჰკარგა ნდობა. თავის დროზე ხომ სწორედ ასე მოიქცა გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, რომელმაც 1988 წლის 14 ივნისს გამოაქვეყნა წერილი რუბრიკით (განა მართლა ბედის ირონია არ გახლავთ?!) „ვინ არის ვინ“. ჩემის მხრიდან გაუმართლებლად მიმაჩნია კიდევ რაიმე მოგახსენოთ ამ საკითხზე და თავს მოგახვიოთ საკუთარი აზრი, მით უმეტეს, რომ ყოველივე ეს პირადად მე მეხება.

ამავე დროს, ის შეუპოვრობა, რასაც „საქართველოს“ რედაქცია იჩენს დემოკრატიზაციისა და საჯაროობით ბოძებული სიკეთის გამოყენების საქმეში, აღმავსებს იმის რწმენით, რომ გაზეთის გვერდებზე აისახება ჩემი მოკრძალებული ნააზრევი რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი ორგანოს პოზიციის თაობაზე.

ჩემი აზრით, უპირველესად ობიექტურ მკითხველს არ შეიძლება თვალში არ ხვდებოდეს ის ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს ჩვენ-

ში თვით მცნება „საჯარ...
არც თუ იშვიათად აღიქმ...
რდაპირი გაგებით ცალმ...
ე. ი. მიმართული მხოლო...
მხარეს — ხელმძღვანელებ...
ხელმძღვანელი ორგანოებ...
ნააღმდეგ. არ მსურს წრესკ...
ლი ორთოდოქსის სახელი ...
არდეს: დიახ, უნდა გამოგი...
რომ ამაში არის თავისი ...
ზომიერება, რადგან ხელი...
ების დღემდე არსებული ...
ტუტები ათეული წლების ...
ვლობაში უბოდიშოდ ნერგ...
საკუთარი სიტყვისა და აზრ...
სოლუტურ მონოპოლიას ...
კარგად ვხედავთ სად მიგვ...
ყოველივე ამან. მაგრამ არ...
ებ საშიშია საპასუხო ტენდ...
რომელიც გაყალბებული მ...

# და მა...

**პატივცემულო რედაქტ...**
**თქვენი გაზეთის ა. წ. 12 ...**
**ერში ჩემს შესახებ გამოქ...**
**„პოლიტსამმართველოს ...**
**რომ იგი „საქართველოს“ ...**
**იბეჭდება ცვლილებებისა ...**

**რედაქციისაგან: წერ...**

ონის მეორე მხარედ წარმო...
გება. სწორედ ამიტომ, მოი...
საჯაროობა ჭეშმარიტ პლ...
იზმს.
სწორედ ოპონენტის პოზ...
ში გარკვევა და მისი პატივ...
მა გახლავთ დემოკრატიულ...
ინციპების დედაარსი. სიმა...
რომ გითხრათ, მე არ ძალმი...
ვიზიარო მრავალი მოსაზრებ...
ძელსაც „საქართველო“ და...
გამოცემები აწვდიან მკითხ...
მაგრამ მიუხედავად ამისა, ...
ჯერ ვამჩნევ აზრთა არაორდ...
ურ შემობრუნებას, მრავალ...
კითხის ახალი რაკურსით წ...
ჩენას, ვესწრაფვი გავიაზრო...
ისმიერი შეხედულება და ას...
დამოკიდებულების იმედი ...
სხვებისაგან ჩემს მიმართაც...
ნებისმიერი დარგის ხელმ...
ნელს, მით უმეტეს სამართ...
მცველი ორგანოების წარმო...
ენელს, თუ იგი ცდილობს ...
ვის ...ქტიური პოზიცია, ადრ...
გვი... თავს დაატყდება ...
საჩივრებისა და განცხადე...
ნიაღვარი. ისინი ხშირად გ...
ნულად დამაჯერებლად გამ...
რებიან, ასახავენ მომჩივანთა...
ლისტკიცილს. მაგრამ, საფუ...
იანი შემოწმებების შემდეგ...
ტეს შემთხვევაში არაფერი ...
ტურდება, მომჩივანის ემო...
კი აღმოჩნდება მოჩვენებითი...
ანგარიშებული გულჩვილ...
დობ მკითხველზე. აქედან ...
მდინარე, ნუთუ დასაშვებია ...
რწმუნო წყაროდ მივიჩნიოთ ...
ერთი ასეთი განცხადება და ...
სვე მკითხველთა სამსჯავრ...
წარმოვადგინოთ იგი? ეს ან...
ლი უპასუხისმგებლობაა, ანდ...
ცადი ხერხი ჩრდილი მია...
ნებისმიერ პიროვნებას და პი...
რიგში იმას, რომელიც არც ...
სასურველი გახლავთ მავანთა...
პირადად მე ასე მგონია და ...
არ მეპარება დემოკრატიისა ...
საჯაროობის ერთგული ნებ...
რი რედაქციის შემოქმედე...
კოლექტივიც დამეთანხმება, ...
მუშაობის ამგვარი სტილი და...
თოდები შორს დგანან ჭეშმა...
ად დემოკრატიული პრინცი...
სიგან. საჯაროობის სამარჯვით...
ღრესად ფრთხილად უნდა ...
ქმედოთ, დავიცვათ თავისე...
უსაფრთხოების ტექნიკა, რომ...
ადამიანების ღირსების და...
გარანტიას იძლევა, თავიდან ...
ლებს მათ დაუმსახურებელ ...
რაცხყოფასა და ყალბი იარ...
ების მიწებებას. წინააღმდეგ ...
თხვევაში მყისვე ჩავიძირებით...
ბიექტივიზმის, ტენდენციურ...
ანგარიშსწორების ჭაობში, ...
ყოველ წამს შეიძლება გადა...
დოს დაუფარავ დევნა-შევიწრ...
ბაში.
ამ ბოლო დროს, სამწუხა...
შევეჩეხე ამდაგვარ გამოვლ...
ებს. მეთოდი მეტად მარტ...
მიტინგზე გაისმა უსამართლ...
მოხდომა; გაიჟღერა დაუჯერე...
ჭორი; რამოდენიმე გაზეთში, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არის ვინ?

პასუხს ...ე ნომ- ...კაციაზე ...დოვნებ, ...რში და- ...ბის გა- რეშე, რათა მკითხველმა თვითონ შეაფასოს მისი არსი.

**თუ რედაქცია ჩათვლის საჭიროდ გააგრძელოს საუბარი ამ თემაზე, მზად ვართ გავაცნოთ ჩვენს ხელში არსებული ყველა მასალა.**

**განყოფილების უფროსი**
**ა. ანქვაბი**

...ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

...ნ საქმეთა სამინისტროს ხელ- ...ელობას, მის კოლეგიას. ...ჯერ მე, როგორც ეროვნე- ...ფხაზს, „მავალებენ" ქალაქ ...ში მოწყობილი საქართვე- ...ხაზეთის მეგობრობის მშვ- ...ნი მიტინგის დარბევას. ძნე- ...თქმელია თუ რა იგულისხ- ...მ შემთხვევაში მეგობრობის ...ში, უფრო ადვილი გასაგე- ...ატომ გახდა საჭირო მაინც ...ნც ჩემი გამოყოფა სხვა ...შრომლებიდან. თანაც ამგვა- ...აქციის ხელმძღვანელის ...ს მიკუთვნება. საერთოდ, ...ეია მოწოდებულია თავისი ...ურეობრივი და მოქალაქე- ...ი ვალი მოიხადოს არა ერ- ...ლო მიკუთვნების მიხედვით, ... ამან შეიძლება ნამდვილ ...ღიამდე მიგვიყვანოს. ამ შე- ...ვაში ჩემი, როგორც შინაგან ...ა სამინისტროს პოლიტგან- ...ლების უფროსის მოვალეო- ...აღრესად პრინციპული შე- ...ა მიეცეს ამგვარ გამოვლი- ...

...ან ახლა მახინჯდება ფაქტები, ...ს მიხედვითაც მე ლამის ... მედება აფხაზეთის მოვლე- ... რომელთა სიმწარე და გუ- ...ვილი მწვავედ განვიცადე ...ლი და აფხაზი ხალხის ღი- ... წარმომადგენლებთან ერ- ... საამისო საბაბი გახდა ის, ...ამ მოვლენებამდე ოდნავ ... როგორც იქნა გავედი მორ- ...ბულებაში, რაც ზოგიერთი- ... სრულიად საკმარისი გახ- ...ისათვის, რომ ხელაღებით ...ანაშაულებინე და თანაც ვე- ...ბინე „მოსკოვთან კავშირში". ...ვის ხელი", „ბერლინის ხე- ...„ლონდონის ხელი"... რაღ- ...ხომ არ გაგონებთ ეს ჩვე- ... თუ ისე შორეული ისტო- ...ვდიან ფურცლებს.

...ვ ერთი მცირე ბიძგი. ერ- ...ნამდვილეს შეუფერებელ... ... და აი უკვე მე და თბი- ... მომუშავე ჩემი თვისტომე- ...მოვჩნდით, როგორც „საქა- ...ლოს" ა. წ. 22 ნოემბრის მე- ...ომერში ითქვა, „საქართვე- ... სსრ ხელმძღვანელობაში ...ც მოკალათებულ ანტიქარ- ...ების" რიცხვში. ტერმინიც ...ალდებაც იმდენად აბსურ- ... და შეურაცხმყოფელია, რომ ...მიძლია მათი უპასუხოდ და- ... და ამიტომაც ვრცლად მი- ...არმოგიდგინოთ ჩემი პოზი- ...ე დიდ პატივს ვცემ ყველა ... პირველ რიგში კი ქართვე- ... წარმომადგენლებს, იმ ხა- ... ვისთანაც მჭიდროდ არის ...ირებული აფხაზი ხალხის ... ქართველებს შორის მე უა- ...ამხანაგი, ერთგული მეგობა- ...ლეგა და თანამებრძოლი ...ება. ბევრი მათგანი ჩემთვის ... ძვირფასი და ახლობელია. ... სიღრმემდე მწამს, რომ ... იგივე გრძნობით არიან გა- ...ულნი.

...თან ერთად, ამა თუ იმ სა-

ირებით, რომ რედაქცია დაუფარავად იზიარებს წერილის ავტორის პოზიციას, თავს ნებას მივცემ საკუთარი აზრი მოგახსენოთ მისი ზოგიერთი დებულების გამო. მართლაც, არ შეიძლება პატივი არ მივაგოთ იმ ძალისხმევას, რითაც წერილში შერჩეულია ცალკეული მაგალითები და ფრაზები.

ჩემი აფხაზობა რომ სერიოზული ბრალდებისათვის არასაკმარისად მიიჩნიეს, წერილში აშკარად განზრახ შეიტანეს დაზუსტება ჩემი ვითომდა მუსულმანური წარმოშობის შესახებ. მართალია პრეტენზიას არ ვაცხადებ მაღალ მეცნიერულ განსწავლულობაზე, მაგრამ მაინც ვვარაუდობ, რომ მორწმუნეობისაგან განსხვავებით რელიგიური წარმოშობა თანამედროვე დემოგრაფიის უახლეს გაგებად აღიქმება. მე პატივს მივაგებ ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანებს, როგორც ამას ქართული ტრადიციები მოითხოვენ, მიუხედავად ამ ადამიანების რელიგიური მიკუთვნებისა, მე კი, როგორც სრულიად არარელიგიურ პიროვნებას, მწამს ადამიანის, მისი მაღალი ზნეობრივი პოტენციისა.

საყვედურის გამოთქმა სამსახურებრივი იერარქიის საფეხურებზე სწრაფი ზესვლის გამო ჩემის აზრით, ცოტა საჩოთირო საქციელია და არ ამშვენებს პიროვნებას, რომელიც ამას სჩადის, რადგან ჩვეულებრივ განპირობებულია მხოლოდ ქვენა გრძნობებით. თანამდებობის მიღება არასოდეს მიცდია კულისებსმიღმა ძალების გამოყენებით, არასოდეს ვეკუთვნოდი და არ ვეკუთვნი რომელიმე კლანს ან დაჯგუფებას, არ მყოლია და არ მყავს ყოვლისშემძლე მფარველები, მინდა მჯეროდეს, რომ თუ იყო ჩემს სამსახურეობრივ წინსვლასთან დაკავშირებული რაიმე გადაწყვეტილებანი, მათ თავისი ობიექტური საფუძველი გააჩნდათ. პირადად მე ვცდილობ ობიექტურად შევაფასო სხვათა წარმატებები, ხელი შევუწყო მათ წინსვლას. რაც შეეხება ბინების ფლობის საკითხს, მე მათ ვიღებდი დადგენილი რიგის მიხედვით

...და შემთხვევით, დაიბეჭდა ...კაციული ფრაზა... და აი, ... შეკრებილი ცალკეული დე- ...ბისა და წვრილმანების, შე- ...ებისა და გაზვიადებებისაგან ...დება პიროვნების დამახინ- ...ლი სახე. ზოგჯერ მე მომაწ- ... რესპუბლიკის შინაგან საქ- ... სამინისტროში განუსაზღვ- ... თითქმის უზურპირებულ ...უფლებას. თითქოსდა ფალ- ...ვითამაშო ადამიანების ბედ- ...ბურს საბოლოოდ განვდევ- ...სამინისტროს კედლებს გარ- ...ქმის ქართულად წარმოება ...შ. გარდა ამისა, რომ ყოვ- ... ზემოთქმული აბსოლუტუ- ...ცრუეა, მიმაჩნია, რომ საკით- ...მგვარად დაყენება აკნინებს ...ეურაცხყოფს რესპუბლიკის

კითხზე მე გამაჩნია გარკვეულად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი. რომელთა მიჩქმალვას არასოდეს ვცდილვარ და ყოველთვის გულწრფელად გამოვთქვამ, თუმცა ამ თვალსაზრისის აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ. თუ მას ვინმე არ იზიარებს, ჩემის აზრით ეს მას არ აძლევს უფლებას ბრალდება წამომიყენოს და მით უმეტეს დამასახელოს ამა თუ იმ ხალხის მტრად. ასე ხომ შეიძლება მართლაც იმ ჩვენი თანამემამულის მეთოდებამდე დავიდეთ, რომელსაც ცდილობენ მიმამსგავსონ გამოქვეყნებულ წერილში.

ახლა, რაც შეეხება „საქართველოში გამოქვეყნებული წერილის არსებით მხარეს იმასთან დაკავშ- იმ დაწესებულებებში, სადაც მუშაობა მომიწია.

მე შემიძლია გამოქვეყნებული წერილის სხვა პუნქტებსაც გადავწვდე, მაგრამ ყველა ისინი ფერმკრთალდებიან იმ უპრეცედენტო ბრალდებასთან შედარებით, რაც წამოყენებულია ჩემს მიმართ წერილის დასასრულს. რამდენად ზნეობრივია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ამგვარი მტკიცებების სრული უსუსურობისა და მცდარობის წინასწარი შეცნობით, ბრალი დასდო ადამიანს, თანამდებობის პირს მკვლელობის თანამონაწილეობაში? ხომ არ წარმოადგენს თვით ეს მეთოდი პიროვნების ყოვლად უზნეო პოლიტიკური მკვლელობის მცდელობას?

და ბოლოს. ბრალს მდებენ რა, საეჭვო კავშირების დამყარებაში, ზოგიერთი საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერები და მათი ბეჭვდითი ორგანოები თვით უკავშირდებიან მართლაც საეჭვო რეპუტაციის მქონე ხალხს. აქვე მინდა შევახსენო ჩიქოვანს და მისნაირებს და წინადადება მივცე „საქართველოს" რედაქციას: იქნებ უფრო გამართლებული და აქტუალური იყოს ვისაუბროთ არა ქართული მილიციის კადრების კომპრომეტაციაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის და ისეთი პრინციპული პოლიტმუშაკების მხრიდან, როგორიცაა მაიორი იაკობაშვილი და ბევრი სხვაც, არამედ მწვავე ბრძოლაზე მექრთამეებთან, ხელმრუდეებთან, გამომძალველებთან, ადრე ნასამართლევ პირებთან, რომლებიც მილიციის ფორმას ამოფარებულნი მუშაობენ არა ხალხისათვის და სახელმწიფოსათვის, არამედ საკუთარი ანგარებიანი ინტერესებისათვის, ხოლო მხილების შემდეგ დაჩაგრულის და შეურაცხყოფილის მოსასხამს მოირგებენ და „იღწვიან" გადაარჩინონ „მშობლიური" მილიცია და მასთან ერთად შავი ზღვის კურორტებზე ჩამოსუ-

## ვინ ვინ არის

ლი დამსვენებელი ქალები ანქვაბის უზნეო და ამორალური ზეგავლენისაგან.

ვაჯამებ რა ზემოთქმულს, მინდა ხაზი გაუსვა მთავარს. დემოკრატიზაცია და საჯაროობა — პოზიტიური პროცესებია, რომელთაც ხელფეხი გაუხსნეს ჩვენი საზოგადოების სოციალურ ინიციატივას. ყოველივე ამისათვის ღირს შრომა და ცხოვრება. მაგრამ თუ მავანს ერთი ტოტალიტალური იდეოლოგია სურს მეორეთი შეცვალოს, გამოიყენოს ახალი სახელები, გამოცვალოს არა პრინციპები, არამედ მხოლოდ ფირნიში, ასეთი პოზიცია ალბათ არ იმსახურებს ოდნავ მხარდაჭერასა და ყურადღებასაც კი. მას არავითარი ნათელი პერსპექტივა არ აქვს და შეუძლია მხოლოდ ახალი უბედურება მოუტანოს ხალხს. ერთადერთ მისაღებ პოზიციად დღევანდელ პირობებში მიმაჩნია პიროვნების ღირსებისა და სახელის პატივისცემა, ჰუმანიზმის, სიმართლისა და სიკეთის პრინციპების დაცვა!

**პატივისცემით**
**ალექსანდრე ანქვაბი**
**6 დეკემბერი, 1989 წ.**

# წერილები რედაქციას

თქვენი გაზეთის მეორე ნომერში დაიბეჭდა სტატია, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსს ა. ანქვაბს ეხებოდა. ანქვაბის მხრივ უკანონო მოქმედების მსხვერპლი გავხდი მეც რის გამოც გამრიცხეს პარტიის რიგებიდან და გამათავისუფლეს სამსახურიდან. შინაგან საქმეთა სისტემაში ვმუშაობდი 1968-1981 წლებში. დამთავრებული მაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1981 წელს ჩემს მიმართ ანქვაბის მიერ არასწორი ცნობის შედგენის საფუძველზე (მაშინ ანქვაბი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების ინსტრუქტორი იყო) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე გამრიცხეს პარტიის რიგებიდან და გამათავისუფლეს თანამდებობიდან (ვმუშაობდი ვანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსად) იმ მოტივით, თითქოს არასწორად გადავეცი არქივში ვანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების გამომძიებლის მიერ 1977 წელს წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე (აღნიშნულ პერიოდში ვმუშაობდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს ზონალურ გამომძიებლად). სინამდვილეში კი ეს საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის არქივში 1974 წლის №110 ბრძანების თანახმად გადავეცი.

5 წლის ბრძოლის შემდეგ სიმართლეს მივაღწიე, რის შედეგადაც გამომიტანა განაჩენი — წინ წავიწევდი სამსახურში, თუ ეროვნებას გამოვიცვლიდი და ყველაფერს მაპატიებდი, მაგრამ საინტერესოა, რა უნდა ეპატიებინა ჩემთვის, როცა არაფერი დამიშავებია.

დასაწერი და სალაპარაკო ბევრი მაქვს, მაგრამ იქნებ რაიმე კომისია შეიქმნას და მას მოვახსენებ დანარჩენს.

**მილიციის უფრ. ლეიტენანტი**
**გურამ კვარაცხელია.**
**სოხუმი.**

●

წლების მანძილზე განვიცადე დევნა და დამცირება ანქვაბის მიერ. ძნელია, წერილში აღწერო ყველაფერი ის, თუ რამდენი შეურაცხყოფა გადავიტანეთ მე და ჩემმა მოხუცმა მშობლებმა.

გთხოვთ, თუ რაიმე შემოწმება მოჰყვება წერილს ანქვაბზე, არ დამტოვოთ მეც. ძალიან ბევრი მასალა მაქვს შეკრებილი და მისი შესწავლა კიდევ უფრო ნათელჰყოფს, თუ რას წარმოადგენს პოლკოვნიკი ანქვაბი და რა მეთოდების გამოყენებით სდევნიდა იგი მილიციის ქართული ეროვნების წარმომადგენლებს.

პატივცემულო რედაქცია, სანამ ანქვაბი იმ თანამდებობაზეა, ბევრ თანამშრომელს ეშინია მისი. ამიტომ, თუ რამე კომისია შეიქმნება, საჭიროა საქმის შესწავლამდე ანქვაბის თანამდებობიდან დროებით გადაყენება, როგორც ამას აკეთებდა თვითონ. მაშინ ნახავთ, თუ რას წარმოადგენს იგი.

დიდი მადლობა თქვენი პუბლიკაციისათვის, რომელმაც ცოტაოდენი იმედი ჩაუნერგა ხალხს. ბევრს ხომ შეუძლებლად მიაჩნია ანქვაბზე ჩივილი, რადგან მას უამრავი მფარველი ჰყავს.

**მილიციის კაპიტანი**
**გურამ შენგელია.**
**გაგრა.**

პარტიაში აღმადგინეს. 1986 წლიდან ვცდილობ შინაგან საქმეთა ორგანოებში აღდგენაზე, მაგრამ ამაოდ, თუმცა საკავშირო სამინისტრო მიზანშეწონილად თვლის ჩემს აღდგენას, როგორც სამინისტროს კადრების განყოფილებაში გავიგე, ჩემი აღდგენის წინააღმდეგი ყოფილა ანქვაბი. თუ დაინტერესდებით ამ განცხადებით და ისურვებთ ჩემი. გამმართლებელი საბუთების შემოწმებას, შემიძლია წარმოგიდგინოთ.

**რიჩარდ თელია.**

●

საგულდაგულოდ რამდენჯერმე წავიკითხე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი ანქვაბზე. თითქოს უიმედობისგან გატეხილი გული გამიმთელდა. ანქვაბის ერთ-ერთი მსხვერპლი მეც ვარ. სახივრით, წერილობით ვის არ მივმართე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ვინ გაბედავდა ამ კაცისთვის ფეხის გადაბიჯებას. ყველასთვის პასუხი მზად ჰქონდა ამხ. ალექსანდრეს. ბოლო-ბოლო ანქვაბმა

●

ძვირფასო რედაქცია!

ვიყავი ავტოინსპექტორი, ერთხელ პოსტზე ყოფნისას ჩემს წინ დიდი სიჩქარით ჩაიქროლა მანქანამ (გაზ-24). მე დავეწიე მას, საგუშაგოსთან გავაჩერებინე მძღოლს, ჩემი პირადობის მოწმობა ვუჩვენე და საბუთები მოვთხოვე. პირადობის მოწმობა გამომართვა და მითხრა — შენ მეტს არ იმუშავებო, აფხაზეთის შინაგან სამინისტროში დამიბარა. როგორც შემდეგ გავიგე, მძღოლი ალექსანდრე ანქვაბი ყოფილა.

მართლაც არ გასულა სამი თვე და მე უმუშევარი აღმოვჩნდი. ძნელი წარმოსადგენია, რამდენი წვალება გადამხდა სიმართლის ძებნაში. ანქვაბის მიერ ყველა გზა მოჭრილი აღმოჩნდა.

თუ ამ პუბლიკაციას რამე შემოწმება მოჰყვა, გთხოვთ, მეც არ გამოგრჩეთ, რამდენადაც მეც გამაჩნია გარკვეული მასალა ანქვაბის „შემოქმედებაზე".

**მილიციის ზემდეგი**
**ჯემალ ტიბუა,**
**სოხუმი.**

# საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს

**საქართველოს სახალხო ფრონტის გაზეთ „საქართველოს" ა. წ. 12 ნოემბრის მეორე ნომერში რუბრიკით „ვინ ვინ არის" გამოქვეყნდა წერილი „პოლიტსამმართველოს უფროსი", რომელიც შეეხებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის ა. ანქვაბის მოქმედებას, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებას, არაკანონიერ ქცევას, მრავალ დანაშაულსა და დარღვევას. წერილი მიმართული იყო სახალხო დეპუტატების ა. ბაქრაძის, ნ. მგალობლიშვილის, ნ. ნათაძის სახელზე. ამიტომ მოვითხოვთ, შეიქმნას უმაღლესი საბჭოს კომისია, რომელიც ობიექტურად შეისწავლის წერილში მოყვანილ ფაქტებს.**

**დეპუტატები:**
**აკაკი ბაქრაძე,**
**ნოდარ ნათაძე,**
**ნუგზარ მგალობლიშვილი.**
**15 დეკემბერი, 1989 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიტყვა — ყველას

# ჩემი შენ გითხარიო...

**რედაქციისაგან:** ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის რუბრიკა „სიტყვა — ყველას" უცხო არ არის, ის თავიდანვე დამკვიდრდა „საქართველოს" ფურცლებზე. ამ რუბრიკით იბეჭდება ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის რეპლიკა თუ წერილი საჭირბოროტო თემებზე, ზოგჯერ, შეიძლება, ბევრისთვის მიუღებელი, მაგრამ ჩვენი გაზეთი თავისუფალია და, ვფიქრობთ, მაინც დასაბეჭდი გაზეთის ფურცლებზე.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ქვემოთ მოყვანილ წერილს არ ეხება, თუმცა, შესაძლოა, ვინმეს სრულიად საპირისპირო აზრი ჰქონდეს; ამ წერილმა, შეიძლება ვინმე გააღიზიანოს, რადგან ხალხი მტკივნეულად აღიქვამს ყოველგვარ დაპირისპირებას, თუ კამათს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა შორის. მაგრამ როცა განსხვავებული აზრები ჩნდება, როცა ასეთი წერილი იწერება, ის ქუჩაში მითქმა-მოთქმის საბაბი და ათასგვარი ეჭვის გამომწვევი კი არ უნდა გახდეს, არამედ უნდა დაიბეჭდოს და შემდეგ ჩვენივე გაზეთის ფურცლებზე ნებისმიერს მიეცეს კამათში მონაწილეობის საშუალება, რათა ამ გზით მივიდეთ ჭეშმარიტებამდე. ვფიქრობთ, არც ამგვარი წერილების ტონმა უნდა გაგვაღიზიანოს. გავიხსენოთ, რომ გასული საუკუნის მიჯნაზე და ჩვენი საუკუნის დასაწყისში უფრო მწვავე პოლემიკებიც იმართებოდა პრესაში.

ჩვენი რედაქცია მზად არის, ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციისა და ყველა პარტიის წარმომადგენელს დაუთმოს ტრიბუნა.

მომიტევოს მოწყალე მკითხველმა, რომ ჩემი წერილის პირველსავე წინადადებაში ლენინის მოხსენიება მიხდება. არადა, კინოსტუდია „ქართული ფილმი" სწორედ ლენინის ორდენოსანი დაწესებულებაა. იქაური კომპარტიაც ლენინურია და კომკავშირიც ჯერჯერობით „დიდი ბელადის" სახელს ატარებს. ბარაქალა გაზეთ „ქართულ ფილმს", რომელიც ამაყად იუწყება, რომ იგი წარმოადგენს ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის პარტიული, პროფკავშირის, კომკავშირის კომიტეტებისა და დირექციის „ორგანოს". აი, ამ ამაყ „ორგანოში" 29 ნოემბერს დაიბეჭდა გია ჭანტურიას „აქტუალური ინტერვიუ".

ჟურნალისტურ პრაქტიკაში ცალი თვალით ჩახედული დილეტანტიც კი იოლად მიხვდება, რომ „ინტერვიუს" უწყინარი ნიღაბი ოდნავადაც არ ცვლის გ. ჭანტურიას თხზულების ჟანრულ ჩარჩოს. ბატ. გიამ ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის გაზეთში გამოაქვეყნა პოლიტიკური ხასიათის წერილი, რასაც, გასაგები მიზეზის გამო, ინტერვიუ უწოდა. ამით მან თავიდან აცილა საჩოთირო შეკითხვა: დალოცვილო, გაზეთი და ჟურნალი არც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აკლია და რაღა მაინცდამაინც კომუნისტური პრესის ფურცლებზე მოგინდა მეგობრებთან დავა-კამათიო... ამგვარ შეკითხვას ვერც ქ-ნი ირინა სარიშვილი გაექცევა. „ქართული ქრონიკის" მთავარმა რედაქტორმა მთელი გვერდი გამოსტაცა თბილისის კომუნისტთა ორგანოს. ასე გაჩნდა კრუპსკაიასეული პედაგოგიური დიდაქტიკით აღბეჭდილი ჭკუისდამრიგებლური შეგონება „შეცდენილი" თანამებრძოლის „ხარვეზებზე". ასე საპნის ბუშტივით გაქრა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ჭანტურიასეულ დახასიათებაში უპირველეს ნიშნად აღიარებული დებულება: „უარყოფა ყოველივე საბჭოურისა". იქნებ იმპერიამ უკვე განიცადა გარკვეული ტრანსფორმაცია და მსგავსი თანამზრახველობა „ახალი პოლიტიკის" სიმბოლურ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ? მაშინ როგორღა გავიგოთ შინაარსი ზემოხსენებული დახასიათების მესამე ნიშნისა, რაც უშუალოდ გულისხმობს „იმპერიის ტრანსფორმაციის ყოველგვარი შესაძლებლობის გამორიცხვას"? „ქართულ ქრონიკაში" დაბეჭდილ ჭეშმარიტად დალაილამას საკადრის ტრაქტატში — „რას უპირებს კრემლი საქართველოს" — გ. ჭანტურია წინასწარმეტყველის გამჭრიახობით დასძენს: „სავსებით რეალურად გვეჩვენება, რომ კრემლი ადგილობრივ მარიონეტულ ხელისუფლებას დროებით და გარკვეულ საზღვრებში მოქმედების თავისუფლებას მისცემს, რაც უნდა გამოიხატოს... „თავისუფლების ტრიბუნაში" (ეს უკვე ინერგება)". გამოდის, რომ გ. ჭანტურია და ი. სარიშვილი უკვე თავად მოექცნენ კრემლისა და მარიონეტული ხელისუფლების მიერ თვალთმაქცურად გათამაშებული „თავისუფლების" ტყვეობაში. ობივატელი ჩვენშიც მრავლად მოიძებნება და რა გასაკვირია, რომ მან ერთ მშვენიერ დღეს ხმამაღლა შემოსძახოს: ხომ ხედავთ კომპარტია როგორი დამთმობი გახდაო. ასეთ დროს ჩვენ ისევ „ქართულ ქრონიკაში" უნდა ჩავრგოთ თავი და მორიგი სიბრძნის ახალი დოზა მივიღოთ: „კრემლი „დათმობს" და ეს „დათმობა" მისთვის უაღრესად მომგებიანი იქნება. ხოლო ობივატელი კი იზეიმებს — „აი ჩვენ გავიმარჯვეთ!" (გ. ჭანტურია); რა ვქნა, მიჭირს დავიჯერო, მაგრამ „ინტუიციის სახით მოვლინებული ეროვნული სიბრძნე" მეც რაღაცას მკარნახობს და მაფიქრებინებს, რომ კომუნისტური პრესის ფურცლებზე გ. ჭანტურიასა და ი. სარიშვილის „საგასტროლო მოგზაურობა", უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ მოზეიმე ობივატელის წისქვილზე ასხამს წყალს.

ახლა ისევ „აქტუალურ ინტერვიუს" დავუბრუნდეთ. გ. ჭანტურია აცხადებს, რომ „უარს ვამბობთ ეთნოკრიზისზეო". სამაჩაბლოში, ქვემო ქართლსა და აფხაზეთში განვითარებული მწვავე მოვლენები მასაც „ეთნოკრიზისად" და „ეთნოკონფლიქტად" მიუჩნევია. ამ სამარცხვინო ტერმინით დღეს სწორედ კრემლი ნათლავს ქართული მიწის მიტაცების მცდელობას, ჩვენი მამულის დაპყრობისათვის წარმოებულ ვერაგულ ბრძოლას. არადა, ყველა გულწრფელმა მამულიშვილმა კარგად უწყის, რომ როცა მიწას გართმევენ, ქალებს გიბახებენ და შენივე სამშობლოდან ფეხის ამოკვეთას გიპირებენ, ეს უკვე „ეთნოკონფლიქტი" აღარაა. საქმე გაცილებით რთულადაა და საფრთხეც უფრო დიდია, ვიდრე „ეთნოკზირისის" ნაჭუჭიდან სჩანს, სხვათა შორის, ტერმინოლოგიური მისტიფიკაციები მოსკოვის საყვარელი გასართობია. ასე მაგალითად, ავღანეთში შეჭრას იგი ინტერნაციონალური ვალის მოხდად ასაღებს, ხოლო თავისუფლებისმოყვარე რაინდთა რაზმებს ბანდებად და ყაჩაღებად წარმოსახავს. რაღა შორს წავიდეთ, გავიხსენოთ როგორ მონათლეს ცხრა აპრილის ტრაგიკული ამბები... დიახ, მოსკოვი გულმოდგინედ ცდილობს „ეთნოკონფლიქტის" იარლიყი მიაკრას საქართველოში გაჩაღებულ დაპყრობით ომს, რასაც იგი სხვა არარუსი (მაგ. ოსური, აზერბაიჯანული, აფხაზური და სხვა) მოსახლეობის მეშვეობით ახორციელებს. ამ ანკესზე დასავლეთის მრავალი ბედოვლათი „პოლიტიკოსიც" წამოეგო. მაგრამ გასაკვირი სულაც არაა, რომ ფრანგი, ან ამერიკელი პრაგმატიკოსისათვის უცხო აღმოჩნდა მრავალსაუკუნოვანი ტანჯვით შენარჩუნებული ქართული მიწის ბედ-იღბალი. განა ოდესმე სხვაგვარად ყოფილა? მოხუცი საბას იმედგაცრუებული გამოხედვა დღესაც უნდა აკრთობდეს დასავლეთისკენ თვალებმიპყრობილ ჩვენს ზოგიერთ თვითნასწავლ თუ თვითმარქვია „პოლიტიკოსს", სხვათა და სხვათა „ხმებზე" გაჩვეული ყურთასმენა ვერასოდეს შეიგრძნობს, რომ „ქართლის ძილში" დღესაც „კვნესა ისმის" და ეს უმადურ გადამთიელთა ფეხქვეშ გათელილი ქართული მიწის კვნესაა.

დასავლეთის ბევრი პოლიტიკოსი დღეს იმასაც გვიკიჟინებს, რომ ჩვენი ეროვნული მოძრაობა, ვითარცა „ანტიპერესტროიკული" აქცია, გაუმართლებელ მოვლენას წარმოადგენს.

სიტყვამ მოიტანა და აქვე დავსძენ, რომ პატრიოტობა ისევე განსხვავდება პოლიტიკანობისაგან, როგორც რუსთველური სიყვარული — სიძვისაგან, „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი"... გაიხსენეთ, „ჩაურევლობის" როგორ „პოლიტიკას" ადგა თეიმურაზ ხევისთავი და სადამდე მიიყვანა იგი ამგვარმა მოქმედებამ, ჯაყოს სახიფათო აჩრდილი დღესაც ემუქრება ქართველობას და ვაითუ ნაცადმა წაყრუებამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

მადლობა უფალს, გ. ჭანტურიას ოდნავ მაინც უგრძვნია, რომ ამჟამად სამაჩაბლოს განსაცდელი და გასაჭირი ადგას. „პიროვნულ ვალად ვთვლით, ჩავიდეთ ქართველი ხალხისთვის ე. წ. „ცხელ წერტილებში" და განსაცდელის თუ გაჭირვების ჟამს ვიყოთ მათთანო", — შენიშნავს იგი. მართალი გითხრათ, გ. ჭანტურიას ამ „აღსარებამ" ერთგვარი თანაგრძნობით განმაწყო. წარმოიდგინეთ მდგომარეობა იმ ადამიანისა, ვინც თავის „პიროვნულ ვალად თვლის" იმას, რაც მის ორგანიზაციას, არც მეტი, არც ნაკლები, — სასირცხვო საქმედ მიუჩნევია. გამოდის, რომ გ. ჭანტურია თავის „პიროვნულ ვალად" სამარცხვინო აქციებში მონაწილეობას თვლის. ამგვარი ლოგიკით მართლაც არ უნდა გავემუროთ ე. წ. „ცხელ წერტილებში", თორემ იქედან დაბრუნებულმა, გასაკვირი არაა, რომ ამგვარი რამ დავწეროთ: „ის 200 კაც ჩვენ გავხადეთ გმირი, რომლებმაც ამდენი ათასი ქართველი უკან გამოაბრუნეს" (გ. ჭანტურია). აი, ხომ ხედავთ, რა დღეში ჩაუგდია „აქტუალური ინტერვიუს" ავტორი „ცხელ წერტილში" სამარცხვინო ყოფნას. როგორც ჩანს, ორასამდე პირტიტველა ოსი ბიჭის „გმირობამ" იგი ისე დააბნია, რომ მარტივი წინადადების რიგიანი გამართვაც კი დაავიწყდა, როცა ათიათასობით ქართველის შერცხვენაზე ვსაუბრობთ და ლამის მთელი საქართველოს დამოძღვრა გადაგვიწყვეტია, ამასაც უნდა მივაპყროთ ყურადღება. „ჩვენ გავხადეთ", „გამოაბრუნეს", და სხვა მსგავსი ლაფსუსები ციტირებულ წინადადებაში იმგვარად „ზის", რომ მის ავტორს ნამდვილად არ ამშვენებს. „რაც მოხდა, არის სამარცხვინო (ესეც ჭანტურიასეული ქართულია — თ. ქ.). ოციათასზე მეტი ქართველი გამობრუნდა უკან, ჭორია ის, რომ თითქოს იქ, შესასვლელთან ქალები და ბავშვები იყვნენ. იყო დაახლოებით 20-30 წლამდე ასაკის 200-მდე ოსი ბიჭი" (გ. ჭანტურია), ერთობ უცნაური მხედველობა ჰქონია ჩვენს ავტორს. 200-მდე კი დაუთვლია, მაგრამ როგორც სჩანს, თვლაში გართულმა, ველარც ჯავშანტრანსპორტიორები შენიშნა, ვეღარც ფარ-ჩაფხუტიანი და ავტომატებიანი წითელი ჯარისკაცები და ველარც მძიმე ავტომანქანებისაგან სახელდახელოდ მოწყობილი ბარიკადები. სხვათა შორის, ეს ოფიციალურ პრესასაც არ დაუმალავს. მაგ. გაზეთი „თბილისი" იმ დღეებში გვაუწყებდა: „ქალაქის შესასვლელი ჩაკეტეს მილიციამ, შინაგანი სამსახურის ჯარების ნაწილებმა და ჯავშანტრანსპორტიორებმა, ქალაქის მოსახლეობამ დამატებითი ზომები მიიღო, უშუალოდ ცხინვალის შესასვლელი სამშენებლო მასალებით დატვირთულ ავტომანქანებით ჩაეხერგათ, თვითონ კი ამ „ბარიკადების" უკან მოეყარათ თავი"... ყოველივე ეს თავისი თვალით იხილა ოციათასზე მეტმა ქართველმა და მათ შორის, ცხინვალის მისადგომებთან „პიროვნულად" მყოფმა გ. ჭანტურიამ, და, რასაკვირველია, ამ სტრიქონების ავტორმაც. ასე, რომ, ქართველთა შიში და სირცხვილი, რაზეც ასე ნიშნისმოგებით წერს გ. ჭანტურია, ფიქციაა, ისეთივე ფიქციაა, როგორიც „კრემლის უკან დახევა" 1988 წლის 29 ნოემბერს. „მიტინგის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოვიდა ცნობა კრემლის უკან დახევის შესახებ" („ქართული ქრონიკა", № 55), კრემლის „დახევა", იცოცხლე კარგი რამაა, მაგრამ ჭეშმარიტების ერთგულება, სიმართლისათვის თვალის გასწორება უფრო მნიშვნელოვანია. ნუ შევქმნით ილუზიას, რომ გასული წლის 29 ნოემბერს ჩვე გავიმარჯვეთ, ხოლო ერთი წლის შემდეგ 23 ნოემბერს სამარცხვინოდ დავმარცხდით. გამარჯვებებზე და დამარცხებებზ საუბარი ჯერ ნაადრევია. მოვეშვათ ამა თუ იმ მოვლენასთა დაკავშირებით ვერდიქტების გამოტანას, მკითხაობასა თუ სა სამართლოობანას თამაშს და სამშობლოს ჭეშმარიტ ჯარისკაცებად ვიქცეთ, აი, რას გვავალებს დღეს ჩვენ საქართველო. კვლავ გ. ჭანტურიას დავიმოწმებ და მისსავე სიტყვებს ვიმეორებ: „არის შეცდომები, გათიშულობა, ურთიერთქიშ და ერთმანეთის ჯიბრზე პოლიტიკური საქმიანობის სპორტულ შეჯიბრებად გადაქცევის ცდები. არის ეროვნულ მოძრაობა მიტმასნილი ბევრი ადამიანი, ასევე, განდიდების მანიით შეპყრობილი ბევრი უნიჭოც გვხვდება ამა თუ იმ პოლიტიკუ ორგანიზაციაში" („ქართული ქრონიკა"). ამას, ალბათ, „ორგანიზაციულად" აცხადებს ბ-ნი გიორგი, თორემ სხვა შემთხვევაში ერთი ჩინებული ანდაზა გამახსენდებოდა: „ჩემი შენ გითხარიო..." „პიროვნულად" კი აი, რას წერს „ცხელ წერტილში" „სირცხვილნაჭამი" ჩვენი ავტორი: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და კიდევ სხვა რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება, კატეგორიული წინააღმდეგი იყო ოცდასამი ნოემბრის აქციისა", საკითხავია, გ. ჭანტურია რატომ უკარგავს „დამსახურებას" „კიდევ რამდენიმე პოლიტიკურ გაერთიანებას"? რატომ ღირსეულად არ მიუზღავს თანამოაზრეებს? რად ჩქმალავს მათს „ღვაწლს" „განსაცდელისა და გაჭირვების ჟამს" ქართველ ხალხთან დგომის საქმეში? „2 ნოემბრის აქცია მოეწყო დამოუკიდებლობის პარტიის, წმ ილია-მართლის საზოგადოებისა და ჰელსინკის კავშირის ს ხელით და ბუნებრივია, რომ პასუხისმგებლობაც ამ აქცია ზე ეს სამი ორგანიზაციააო", — შენიშნავს გ. ჭანტური ჯერ ერთი, ეს „აქცია" ქართველობამ თავისი სახელით მო წყო. დასახელებული ორგანიზაციები მხოლოდ არეგულირე ბდნენ მოვლენათა განვითარებას (სხვათა შორის, დიდი წ რმატებითაც)... საერთოდ კი, კარგი იქნება, თუ „სახელს" მაინცდამაინც არ გამოვედევნებით, თორემ ნამდვილი სირცხვილი ის იქნება, ოდესმე ვინმეს რომ წამოსცდეს, „საქართველოს გათავისუფლება მოხდა ამა და ამ პარტიის სახ ლითო"... გარდა ამისა, მართალია, ლენინის ორდენოსანი დ წესებულების გაზეთში ვიბეჭდებით, მაგრამ მთელი რიგი ორგანიზაციების „პასუხისგებაში მიცემის" უფლებას საბჭოუ „მართლმსაჯულებას" ნუ შევეცილებით, ნუ გავეჯიბრებით მას ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციაში.

23 ნოემბრის აქციასთან დაკავშირებული გ. ჭანტური „პიროვნულ-ორგანიზაციულ" მოძრაობაზე დაკვირვება გვ ფიქრებინებს, რომ თავისი „პიროვნული ვალის" რეალიზ ბით იგი უფრო დაუახლოვდა ქართველი ხალხის გაჭირვე ბას. პიროვნებას და მხოლოდ პიროვნებას ძალუძს აღემ ტებოდეს „ორგანიზაციულ" სწორხაზოვნებას, რამეთუ, რო გორც წესი, ჭეშმარიტებას მუდამ მცირედნი, მაგრამ ღ რსეულნი ეზიარებიან ხოლმე. ყველასათვის ხელმისაწვდ მად გახდომა არცაა ჭეშმარიტების ხვედრი.

**თემურ ქორიძ**

საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და ეროვნული ხხნ მთავარი კომიტეტის წევრი.

# არ გრცხვენიათ, გოჭებო?!

ვიცი, ამ წერილის დაბეჭდვა არ
აბეჭდვის საკითხი საორჭოფოდ იქ-
ევა, თუნდაც არადელიკატური სა-
აურის გამო.

ცხადია, გოჭების შესარცხვენად არ
მიღია ხელში კალამი. ეს „მშვენიე-
ი" მიმართვა ორ „ფრიად პატივცე-
ულ" გვამს ეხება, რის გამოც ნები-
მიერი რედაქცია, ალბათ, შეეცდება
მითითოს ეთიკის ნორმებზე.

მაგრამ ვიდრე ამას იზამდეთ,
თხოვთ, ჩემი წინასწარი განმარტე-
აც მოისმინოთ. უფრო სწორად, რა-
დენიმე კითხვა მინდა დავსვა და წი-
ასწარი განმარტება ამ კითხვების
პასუხებში იქნება ნაგულისხმევი.

რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ადამი-
ნებს, 30 ვერცხლის საფასურად რომ
ეუძლიათ:

ნებით დაიბრმავონ მხედველობის
რგანოცა და გონების თვალიც;

იქადაგონ დიქტატურა;

მიაფურთხონ წამებულ წინაპართა
აქმეს;

უღალატონ ისტორიულ სიმართლე-
ს და საქართველოს ამჟამინდელ ინ-
ტერესებს;

მხსნელად წარმოგვიჩინონ დამპყ-
რობელი?

დიახ, მე მინდა ვიკითხო, რა ჰქვია
ყველივე ამის მომქმედ ადამია-
ნებს? თუ მკითხველები დაიჯერებენ,
რომ ჩემი წერილის ადრესატები ყო-
ველივე ამას ჩადიან, აღშფოთებუ-
ლებს რა „ეპითეტი" აღარ მოადგე-
ბათ ენაზე მათ შესამკობად, მე კი
ველაზე რბილი, კინაღამ „მოსაფე-
რებელი" მიმართვის ფორმაც კი გა-
მოვძებნე — „გოჭებო". ამიტომ
ვთვლი, რომ ნამდვილად არ მოვქცე-
ულვარ არაეთიკურად. ახლა რედაქ-
ციასაც რომ მოვუხსნა მისი წილი
პასუხისმგებლობა ორი ავტორის —
ავთანდილ შამუგიასა და სევასტი
გრიგოლიას — მიმართ, ვეცდები,
ყველაფერი, რაც ზემოთ ვთქვი, და-
ვასაბუთო კიდეც.

ამ „მამულიშვილებმა" გაზეთ
„თბილისის" 30 ოქტომბრის ნომერში
მოაქვეყნეს სამარცხვინო წერილი—
„მენშევიკ პროფესორს გურამ მუჩა-
იძეს" ზარემ აქვე აღვნიშნავ, ჩემი მი-
ზანი არ გახლავთ ავტორთა მიერ მე-
ნშევიკად მონათლული გ. მუჩაიძის
დამოსარჩლება, რადგან მან პრესის
საშუალებით საქვეყნოდ განაცხადა,
რომ იგი დიახაც მენშევიკთა მემკვი-
დრედ თვლის თავს და კვლავ სოცი-
ალ-დემოკრატიული პარტიის შექმნას
აპირებს. რაკი ჩემთვის მენშევიკიცა
და ბოლშევიკიც ერთი ხვითოა, ამი-
ტომ მათი გაშველების სურვილი
არა მაქვს...

მე სხვა რამ მაწუხებს. მენშევიკებმა
და ბოლშევიკებმა თავის დროზე ნა-
ვან წყალს ნავში გადააყოლეს. პა-
ტიულ ბრძოლებს საქართველო შე-
სწირეს. იმდაგვარად, ახლაც მომდ-
ურან ეს ორჯონიკიძე-მახარაძის მე-
მკვიდრე ბოლშევიკები შამუგია და
გრიგოლია და მენშევიკ მუჩაიძესთან
ანგარიშსწორების დროს მთელ საქა-
რთველოს აყრიან თვალში ნაცარს.

ახლა კი თანმიმდევრობით მივყვეთ
ამ ბრალდებათა დასაბუთებას, რომე-
ლიც ზემოთ წამოვაყენე შამუგია-
გრიგოლიას მიმართ.

## აჰა ამბავი შამუგიასა და გრიგოლიას თვალთა დავსებისა

ბატონი ავთანდილი და სევასტი
ბატონი წერენ:

ა) „სოციალიზმის ბოლშევიკური
აგების დროს მთელი საკუთრება
წარმოების საშუალებებსა და წარმო-
ებულ პროდუქციაზე საზოგადოებას,
ე. ი. მშრომელებს ეკუთვნით". მაშა-
სადამე, ბოლშევიკური გაგებით, სო-
ფელ ფარცხანაყანების სახელმწიფო
ყანები, იმ ყანებში ჩამდგარი მანქა-
ნა-ტრაქტორები და მოწვეული მოსა-
ხლეობა ფარცხანაყანებელი გლეხებისა,
ვინმე გენადიესია, მამიასია თუ ბე-
სასი. სახელმწიფო საკუთრება ჰქვია
თუ არა, ისე გენადიესია და მისი თა-
ნასოფლელებისა.

ბოლშევიკური გაგებით ეს მართ-
ლაც ასეა, მაგრამ რა ვუყოთ იმას,
რომ ამდენი სიმდიდრის „პატრონ"
გენადიეს შიმშილით სული სძვრება,
დაგიჯერებთ ახლა ბატონო ავთანდილ
და სევასტი ბატონო, გლეხი გენადიე,
რომ ბოლშევიკურ გაგებას ადამიანურ
გაგებასთან აქვს რამე საერთო?

აკი არც სჯეროდა არასოდეს. რო-
გორ არ გავიხსენო ერთი ანეკდოტი
თქვენს სულიერ პაპას, ფილიპე მახა-
რაძეს რომ ეხება.

ჩასულა ფილიპე გურიის ერთ მი-
ყრუებულ სოფელში და უთქვამს —
აქანა კოლექტივი უნდა შეიქმნახო.

— კი შეიქმნას, ძამა, ფილიპია,
მარა რაა, აი კოლექტივიო, — იკით-
ხეს გლეხებმა.

— კოლექტივი რაა, ამხანაგებო, და
გერასიმეს რომ ინდოური ჰყავს ის
უნდა ჩაგვაბაროს, ომარიეს რომ ხა-
რი ჰყავს ის უნდა გამოიმეტოს, გა-
ბრიელამ კამეჩი შემოგვაშველოს.
მოვუყრით ამათ ერთად თავს. სახე-
ლი აღარ ერქმევა თქვენი, თორემ
ისე, კვლავაც თქვენი საკუთრება იქ-
ნებაო.

— რას გვიშობი, ძამა, ფილიპია,
— უთხრა გაკვირვებულმა გერასიმემ,
— თბილისში, საცა კაი ქუჩაი იყო,
შენი სახელი დაარქვეს. აგერ, მშვე-
ნიერი ქალაქი გვქონდა ოზურგეთი
და მაგასაც შენი სახელი დაარქვეს.
მე ერთი გაქუცული ინდოური მყავს
და თუ მერეც ჩემი უნდა იყოს, და-
რჩეს ბარემ ჩემს სახელობაზეცო.

ვიცი, პატ. ავთანდილ და პატ. სე-
ვასტი, თქვენს ბოლშევიკურ გაგებას,
მეცნიერული კომუნიზმის თეორიით
საფუძველგამაგრებულს, მოარული
ანეკდოტებით ვერ შევარყევ, მაგრამ
რომელი მეცნიერული ცნებებითა და
ტერმინებით გელაპარაკოთ და გიმტ-
კიცოთ ბნელში რომ სხედხართ, გაა-
ხილეთ თვალები და აუცილებლად
დაინახავთ, რომ ის, რაც ბოლშევი-
კური გაგებით ბოლშევიკურ სახელ-
მწიფოში საზოგადოებას, ე. ი. მშრო-
მელებს ეკუთვნით, საზოგადოების,
ე. ი. მშრომელთა გაგებით მხოლოდ
და მხოლოდ ბოლშევიკების კუთვნი-
ლებაა...

ბ) ბოლშევიკური გაგებით „წარ-
მოებული პროდუქტის განაწილება
დახარჯული შრომის რაოდენობისა და
ხარისხის მიხედვით ხდება", — წერთ
თქვენ. ეს რომ ასე არ არის, თუნდაც
იმით შემიძლია დაგისაბუთოთ, რომ
გაზეთ „თბილისის" რედაქცია თქვე-
ნი უხარისხო წერილის მიუხედავად,
იძულებული იქნება, თქვენც იგივე
ჰონორარი გამოგიწეროთ, რასაც შე-
საბამისი მოცულობის ხარისხიან მე-
ცნიერულ გამოკვლევაში აუნაზღაუ-
რებდნენ ამა თუ იმ მკვლევარს. ჩვე-
ნში, დახარჯულ შრომასა და ხარისხ-
ზე რომ იყოს დამოკიდებული ანაზ-
ღაურება, ბოლშევიკები უხელფასოდ
უნდა დაგვეტოვებინა, რადგან მათი
მმართველობის 70 წლიანმა ეპოქამ,
როგორც თავადვე აღიარებენ, კრი-
ზისის პირამდე მიიყვანა წიაღისეუ-
ლითა და ბუნებრივი რესურსებით
უმდიდრესი ქვეყანა.

გ) ჩვენში „გამორიცხულია ადამი-
ანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია,
მაშასადამე, მოსპობილია ეროვნულ-
სოციალური ჩაგვრა", — ქლურტუ-
ლებთ თქვენ.

პირველ შემთხვევაში ნაწილობრივ
მართალნი ბრძანდებით. სსრკ-ში რი-
გითმა კაცმა რომ კაცი გაატყავოს
ნაკლები საშუალებაა, რადგან ამ „კე-
თილშობილურ" მისიას სახელმწიფო
კისრულობს თავისი კაცების მეოხე-
ბით...

ახლა რაც შეეხება იმას, თითქოს
ჩვენში „მოსპობილია ეროვნულ-სო-
ციალური ჩაგვრა".

აბა, ერთხელ კიდევ გაახილეთ
თვალი, ბატონებო, რა ხდება თქვენს
ირგვლივ? ყველა კუთხე-კუნჭულში
მოშიმშილეები სხედან. ყველა ქუჩის
ბოლოში მიტინგია გამართული. რო-
გორ გგონიათ, რამ გადარია მთელი
საქართველო. ნუთუ ბედნიერი ცხო-
ვრება მოსწყინდათ და მოშიმშილეე-
ბი წონაში დასაკლებად ვარჯიშობენ?
არ ვარგა ტყუილების ლაპარაკი, ბა-
ტონო ავთანდილ და სევასტი ბატო-
ნო, არ ვარგა. არც ის არის მართა-
ლი, რომ ბრძანებთ:

დ) ჩვენში „ვინც არ მუშაობს, ის
ვერც ჭამსო". მართლა რომ ასე იყოს
საქმე, საბჭოთა ადამიანების უმრავ-
ლესობა შიმშილით ამოწყდებოდა.

ე) „ბოლშევიკური სოციალიზმის"
დროს სოციალისტური სახელმწიფოს
მთავარი შემოქმედი მშრომელი ადა-
მიანია, ძალაუფლება მას ეკუთვნის".
აი, ამაში კი უნდა დავეთანხმო პა-
ტივცემულ ავტორებს. ჩვენში ძალა-
უფლება ნამდვილად მშრომელ, რი-
გით, უბრალო ადამიანებს ეკუთვ-
ნით... არ გჯერათ, ხომ, ძვირფასო
მკითხველებო, ხომ გაოცდით ამ ჩემს
უწყინარ ხუმრობაზე? დარწმუნებუ-
ლი ვარ, ასევე არ ჯერათ თავიანთი
დასკვნებისა ბატონ ავთანდილსა და
სევასტი ბატონს, დაწერით კი მაინც
იმას წერენ, რაც ზემოთ მოგახსენეთ,
თვალებიც იმიტომ დახუჭეს, რომ
არაფერი დაინახონ და არაფერი შე-
ამჩნიონ. მეცნიერული კომუნიზმის
ბროშურაჩახუტებულები თითქოს სა-
რკოფაგიდან ამოგვძახიან, ბოლშევი-
კური გაგებით ეს ასეა და ეს ისეო.
„მაგარი" ის არის, რომ თვითონ ბო-
ლშევიკებსაც აღარ სჯერათ ეს თვა-
ლთმაქცობა და როგორც ზემოთ გი-
თხარით, ახალი პარტიის შექმნა გა-
ნიზრახეს...

ვ) „ლენინმა თეორიულად და საბ-
ჭოთა სახელმწიფომ პრაქტიკულად
დაადასტურეს (1917-1952 წ.წ.). სო-
ციალისტური წარმოების წესის ცხო-
ველმყოფელობა და უპირატესობა
კაპიტალისტურ წარმოების წესთან
შედარებით.

მენშევიკ პროფესორს არ შეუძლია
არ დაგვეთანხმოს ამაში, რადგან 1945
წლის 9 მაისი ამის ნათელი დადას-
ტურებაა", — წერენ ისინი.

არ ვიცი, როგორ მოიქცევა „მენ-
შევიკი" პროფესორი. მე კი უნდა
მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ომში
გამარჯვებულმა სსრკ-მ 20 მილიონი
კაცი, ანუ დამარცხებულ გერმანიას-
თან შედარებით 2-ჯერ მეტი ადამი-
ანი, იმიტომ დაკარგა, რომ თქვენი
წარმოდგენისამებრ არ იყო სოცია-
ლისტური და კაპიტალისტური წარ-
მოების თანაფარდობის საქმე. ესეც
არ იყოს, ნამდვილი აღმასვლა და
ბედნიერად ცხოვრების საშუალება,
თქვენის ფიქრით, 1917-1952 წლებ-
ში გვქონია. როგორც ჩანს, ერთი
ფრაზის დაწერა აღარ ინებეთ და
იგულისხმეთ კი — სტალინი გვენა-
ტრებაო. კიდევ კარგი, ერთი სიმღე-
რის ხმაზე რომ ვთქვათ, თქვენი ბე-
ლადი აღარ მოვა, თორემ ეს წერი-
ლი უკანასკნელი იქნებოდა ჩემთვის,
თქვენი დებიუტი კი დიდ მწერლობაში
შესვლის სავიზიტო ბარათი...

ზ) „თანმიმდევრულ მარქსისტ ბო-
ლშევიკებს მიაჩნდათ და მიაჩნიათ,
რომ საბჭოთა ხელისუფლება პროლე-
ტარიატის დიქტატურის სახით უნდა
განხორციელდეს!" — წერენ ბატონი
ავთანდილი და სევასტი ბატონი. რო-
გორც ჩანს, ჩვენს მუშათა კლასს
მთლად კარგად არ ესმის ამ ლათი-
ნური სიტყვის — დიქტატურის —
არსი, თორემ აქამდე ბოღმით გულზე
გასკდებოდა. დიქტატურა ხომ გაბა-
ტონებული კლასის შეუზღუდავ სა-
ხელმწიფო ძალაუფლებას ნიშნავს.
ასე რომ, მუშათა კლასს ჩვენს სახე-
ლმწიფოში ჰქონია შეუზღუდავი სა-
ხელმწიფო ძალაუფლება, ამ დროს
დგანან ეს „შეუზღუდავი ძალაუფლე-
ბით" აღჭურვილი მუშები უნქციო-
ნერის კაბინეტის კარებთან და დასა-
სვენებელ საგზურს ივედრებიან.

მუშა კაცს დიქტატურა კი არა,
ადამიანური ცხოვრება სჭირდება,
ამიტომ „თანმიმდევრულ მარქსისტ-
ბოლშევიკებმა" ამაზე რომ იფიქროთ,
უფრო უპრიანი არ იქნება, ბატონო
ავთანდილ და სევასტი ბატონო?

## აჰა ამბავი შამუგიასა და გრიგოლიას შავბნელი ფიქრებისა

ჩემი ხანმოკლე ლიტერატურული
საქმიანობის მანძილზე თითო-ოროლა
მკითხველი მეც გამიჩნდა და შესაძ-
ლოა, მათ არც მომიწონონ, „გოჭე-
ბი" ბრძლვნის ღირსი რომ გავხადე,
მაგრამ გაზეთში დაბეჭდილ სიტყვას,
მათ უმწიფარ წერილსაც, კი მკითხ-
ველთა ერთი ნაწილისათვის შესაძ-
ლო მაგიური ძალა ჰქონდეს. ჩვენი
საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი
ხომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ წარ-
სული სტერეოტიპების ტყვეობაშია.
ეს წერილი მათთვის იწერება. სწო-
რედ მათ მინდა მივმართო: არ დაი-
ჯეროთ, ხალხნო, ასეთი შავბნელი
ფიქრებისა და დასკვნების:

ა) „საბჭოთა რუსეთსა და მენშევი-
კურ საქართველოს შორის დადებულ
ხელშეკრულებას უხეშად თვით მენ-
შევიკური მთავრობა არღვევდა... 1921
წელს საქართველოში წითელი არმიის
შემოსვლა სწორედ მენშევიკური
მთავრობისაგან ამ ხელშეკრულების
(ლაპარაკია 1920 წლის 7 მაისის სა-
ქართველო-რუსეთის ხელშეკრულე-
ბაზე, ნ. გ.) უხეშად დარღვევის შე-
დეგს წარმოადგენს".

რუსეთი საქართველოსთან ომისა-
თვის ხელშეკრულების დადებამდე
ემზადებოდა, ხოლო იმ დღეებში,
როდესაც საქართველო-რუსეთს შო-
რის სამშვიდობო ხელშეკრულება უნ-
და დადებულიყო, ლენინი ყოველნა-
ირად ცდილობდა ამ აქტის გაჭიანუ-
რებას, რადგან საქართველოს ბედი
მოსკოვს კარგა ხნის გადაწყვეტილი
ჰქონდა.

ამ ფაქტის დამადასტურებელი დო-
კუმენტები უკვე საარქივო მასალებ-
ში აღარ არის საძიებელი, თითქმის
ყოველდღე ქვეყნდება რესპუბლიკის
ამა თუ იმ გაზეთში. ზემოხსენებულ
ავტორებს კი ისტორიული სიმართლე
ფეხებზე ჰკიდიათ. ყოველგვარი სა-
ბუთის გარეშე, განცხადების სახით
აქვეყნებენ:

„საქართველოს მშრომელებმა (მუ-
შებმა და ღარიბმა გლეხობამ) საქარ-
თველოში საბჭოთა ხელისუფლების
დამყარებას იმ თავითვე თანადგომა
გამოუცხადეს". არათუ თანადგომა,
„1921 წლის 25 თებერვალს საქარ-
თველოს მშრომელებმა მე-11 წითელი
არმიის დახმარებით დაამხეს მენშე-
ვიკური მთავრობა". ამ მკრეხელურ
აზრს შამუგია და გრიგოლია ცოტა
ქვემოთ უფრო გავრცობილი სახით
წარმოგვიდგენენ:

„მე-11 წითელი არმიის შემოსვლა
საქართველოში მოხდა არა „ბოლშე-
ვიკების ექსპანსიური მისწრაფებების"
გამო... არამედ ეს აქცია რუსეთის
მუშათა კლასის ძმური ხელის გამო-
წვდენა იყო თავისი ქართველი კლა-
სობრივი ძმებისადმი, რაც მოხდა სა-
ქართველოს მშრომელთა სურვილის
შესატყვისად. ქართველი მშრომელე-
ბი საბჭოთა ხელისუფლების დამყა-
რებას აღფრთოვანებით შეხვდნენ".

ამ „ისტორიული" ფაქტის აღნიშ-
ნას არ ჯერდებიან ეს იუდები და
ლაკონურ კომენტარსაც აკეთებენ —
„სხვაგვარად არც შეიძლებოდა".

მაშ, ასე, ჩვენი თვალდახუჭული და
გონებადაბინდული ავტორები „ხე-
დავენ" 68 წლის წინანდელ საქართ-
ველოს, „ხედავენ", თუ როგორი აღ-
ფრთოვანებით ხვდება ქართველი ხა-
ლხი საოკუპაციო ჯარს. იმ ჯარის წი-
ნამძღოლი კი ბრძანებაში „თბილისის
მიმართულების ჯარებისადმი № 15/
29" 1921 წლის 25 თებერვალს წერ-
და: „ამა რიცხვს ჩემდამი რწმუნე-
ბულმა ჯარმა 12 საათსა და 15 წუთს
დაიკავა ქალაქი ტფილისი. წითელ
არმიელების, კამანდირების და კომი-
სრების გმირული მოქმედება **მძიმე
და უთანასწორო ბრძოლაში** (ხაზი
ჩემია, ნ. გ.) გამარჯვებით დაგვირგ-
ვინდა. ქალაქი ტფილისი, ბურჟუაზიის
უკანასკნელი სიმაგრე, დაეცა და სა-
ქართველო გამოცხადებულია საბჭო-
თა რესპუბლიკათ.

საუკუნო ხსენება დახოცილ მეო-
მრებს და დიდება ცოცხალ მეომ-
რებს, რომლებმაც გმირული შეტევით
თებერვლის 24-ს მძიმე და უთანას-
წორო ბრძოლაში სძლიეს მტრის წი-
ნააღმდეგობა და აიღეს ქალაქი ტფი-
ლისი.

**ტფილისის მიმართულების ჯა-
რის ჯგუფის უფროსი — ველი-
კანოვი.
სამხედრო კომისარი — რატნეკი".**

ახლა ის მინდა გკითხოთ, ბატონო
ავთანდილ და სევასტი ბატონო, თუ
„ეს აქცია რუსეთის მუშათა კლასის
ძმური ხელის გამოწვდენა იყო თა-
ვისი ქართველ კლასობრივი ძმებისა-
დმი", რაც თქვენი აზრით „საქართ-
ველოს მშრომელთა სურვილის შესა-
ტყვისად მოხდა" და თუკი მართლა
„ქართველი მშრომელები საბჭოთა
ხელისუფლების დამყარებას აღფრ-
თოვანებით შეხვდნენ", მაშ ვისთან
ეწეოდნენ ქართველი მშრომელების
„მხარდამჭერით გულმიცემული" მე-9
და მე-11 არმიები „მძიმე და უთანა-
სწორო ბრძოლებს", ერთი მუჭა
„ექსპლუატატორების" წინააღმდეგ?..

ან რისთვის დასჭირდა „აღფრთო-
ვანებული მშრომელებით" გარშემო-
რტყმულ „მხსნელ" წითელ არმიას
ქალაქში სამხედრო წესებისა და კო-
მენდანტის საათის გამოცხადება? (იხ.
აღნიშნულ საკითხზე გაზ. „კომუნის-
ტი". 1921 წ. 3 მარტი).

იმ ფაქტს, რომ 1924 წლის აგვი-
სტოში ქართველი ხალხი აჯანყდა და-
მპყრობელთაგან თავის დასაღწევად,
შამუგია-გრიგოლია ოდნავ შეუფიქ-
რიანებია, მაგრამ გამოსავალს მათ
ადვილად მიაგნეს. „1924 წლის აგ-
ვისტოს აჯანყება საბჭოთა ხელისუ-
ფლების წინააღმდეგ ეს არის არა
მშრომელი ხალხის, არამედ ექსპლუ-
ატატორი კლასების წარმომადგენე-
ლთა აჯანყება", — წერენ ისინი. მა-
თი აზრით, საქართველოს ეროვნული
გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი გმირი
კი არა, უბრალოდ ექსპლუატატორი
იყო (!)

ახლა იმ ამბების მოწმის, ემიგ-
რაციაში გახიზნულ ... მოვუსმინოთ. პარიზში გამოცემულ
წიგნში, „გაბნეული საფლავები", იგი
წერს: „იმ დროს ქაქუცას თავისი
რაზმი უკვე შემომტკიცებული ჰყა-
ვდა. ბრძოლა დამპყრობელ ხელისუ-
ფლებასთან თანდათან მწვავდებოდა:
საჭირო გახდა ახალ გზაზე გადასვ-
ლა. ქართული ღირსების საკითხი
კვლავ ჩვენ ხმალს უნდა გარდაე-
წყვიტა... და ქაქუცას რაზმი ალავე-
რდობაზე გალავანში რომ შემოვი-
და, იქ მოგროვილ აუარება ხალხს
ეგონა ქაქუცა საქართველოს მთავ-
რობისაგან წარმოგზავნილი არისო,
რომ ხალხს საქართველოს განთავი-
სუფლება უნდა ახაროსო...

დაუვიწყარია ის დიადი წუთები,
წუთები, **როცა ქაქუცა თავისი რაზ-
მით გალავანში შემოვიდა, უცებ
მთელი ხალხი მუხლზე დაეცა და
ყველამ ერთად დაიძახა: საქართვე-
ლოს გაუმარჯოს!..**

სადაც კი მივდიოდით, **მთელი სო-
ფელი** თავს იყრიდა და თითქოს ნა-
მდვილ შეფიცულთა კრებები იმარ-
თებოდა. **ყველანი** კითხულობდნენ
ამბავს — საქართველოს ამბავს — და
ამავე დროს, **ქაქუცას როგორც
მხსნელს და ბელადს შეჰყურებდნენ...**

გაისმოდა გაბედული სიტყვა-პასუ-
ხი, თან „დიდების" ჰიმნი სჭექდა კა-
ხეთის სოფლებში... ქაქუცას კი ეჭი-
რა ხელში საქართველოს დროშა"...

ხედავთ, ბატონო ავთანდილ და
სევასტი ბატონო? ქართველი მშრო-
მელები ლენინ-სტალინ-ორჯონიკიძის
ჯარებს კი არ შეხვედრიან აღფრთო-
ვანებით, როგორც თქვენ წერთ, არა-
მედ მათ წინააღმდეგ აჯანყებულ ქა-
იხოსრო ჩოლოყაშვილის რაზმებს.

კიდევ ერთხელ მოვუხმობ თქვენს
შავბნელ ფიქრთა შემცველ ციტატს:
„ვიმეორებთ, საქართველოში საბჭო-
თა ხელისუფლების დამყარება 1921
წლის 25 თებერვალს მოხდა საქარ-
თველოს მშრომელების ინიციატივით
და საბჭოთა რუსეთის დახმარებით.
ეს მოხდა მშრომელი ხალხის ინტე-
რესებიდან გამომდინარე". ახლა
კვლავ მოუსმინეთ ქალბატონ თამარ
პაპავას: „საქართველოს სამი წლის
თავისუფლებას ახრჩობენ სისხლის
წითელ მორევში ქართველი ულირსი
შვილის მიერ გამოგზავნილი ჩრდი-
ლოეთის ურდოები. 26 მაისის ბრწყი-
ნვალე მზე ჩაგვესვენა და ვინ იცის,
რამდენი ხნით!

საქართველოს დამოუკიდებელი რე-
სპუბლიკის სუვერენული მთავრობა
და მასთან ერთად პოლიტიკური პა-
რტიების პასუხისმგებელი პირები სა-
ზღვარგარეთ იხიზნებიან. თვით საქა-
რთველოში კი ეროვნული ძალები
ირაზმებიან, ეწევიან ფარულ და აშ-
კარა ბრძოლას, გადიან ტყეში, ამბო-
ხებას ამბოხებაზე აწყობენ, რომელიც
1924 წლის აჯანყებით სრულდება და
შემდეგ... — შემდეგ ხომ ყველამ ვი-
ცით რაც ხდება: — ქლეტენ ქართვე-
ლებს და უმოწყალოდ, გაუსამართ-
ლებლად, რასაკვირველია, და როდე-
საც თბილისში, ერთ ყასაბს ერთმა
დედაბერმა შესჩივლა — რა გაძვი-
რებულა ხორციო! — მას ყასაბმა
უპასუხა: — ბევრი და იაფი ხორცი
დედიჯან, საბურთალოზე რამდენიც
გინდა, იმდენი არისო!.. ამით მან და-
ხატა ის მხეცური ხოცვა-ჟლეტა —
ცინიკურად დახატა — რაც მართლა
მოხდა..."

ალბათ თქვენც მიხვდებით, ბატო-
ნო ავთანდილ და სევასტი ბატონო,
რომ მშრომელი ხალხის ინტერესებს
არ პასუხობდა ის ფაქტი, რომ საქა-
რთველო სწორედ ქართველი მშრო-
მელების სასაკლაოდ იქცა. ქართველი
ულირსი შვილის მიერ გამოგზავნილ
ურდოებს ასევე ულირსი ქართველი
მოუძღოდა, რომელსაც სტალინისაგან
დაბარებული ჰქონდა, წაღმა-უკუღმა
გადაეხნა საქართველო. ასე წაღმა-
უკუღმა ნამდვილი ღორები ჩიჩქნიან
დინგით მიწას, სტალინი და ღორე-
შელი სერგო ორჯონიკიძეც ღორები-
ვით მოექცნენ მშობელ ქვეყანას და
თქვენც, ბატონო ავთანდილ და სე-
ვასტი ბატონო, ნუთუ არ შეგრცხვე-
ბათ, ერთ მშვენიერ დღეს, ახლად
წამოჩიტულმა, თავისუფალ საქართ-
ველოზე უკვე მეოცნებე პატარებმა
ნოდარ დუმბაძის ერთი საბავშვო
ლექსის სტრიქონებით რომ მოგმარ-
თონ:

**„არ გრცხვენიათ, გოჭებო?
ღორებივით იქცევით!.."**

**ნოდარ გრიგალაშვილი.**

# საქართველოს მეფეები

# საურმაგი

ფარნავაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლის (იბერიის) მეფე გახდა მისი ძე, საურმაგი (III ს. ქრისტეს დაბადებამდე).

განსხვავებით მამამისის მეფობისგან, რომელიც ქართველებისთვის ბედნიერი ცხოვრების ხანას წარმოადგენდა (ფარნავაზმა „ყოველი დღენი მისნი, რაც დაჯდა, მშვიდობით ალაშენა და განავრცო ქართლი"), საურმაგის მეფობა აღინიშნა შინაური აშლილობა-არეულობით. საურმაგის წინააღმდეგ ერისთავებმა შეთქმულება მოაწყეს, მეფობის გაუქმება განიზრახეს. „ქართლის ცხოვრების" მემატიანე შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს შეთქმულთა ავ გულისთქმას: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად და მოვკლათ ჩუენ საურმაგ და ვიყუნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყუენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცავინ გამოჩნდეს მძლე, რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ".

საურმაგი იძულებული გახდა ფარულად დაეტოვებინა საქართველო, დედასთან ერთად გადასულიყო დურძუკეთში (ჩრდილო კავკასია) დედის ძმებთან და მათთვის დახმარება ეთხოვა. დურძუკეთში ყოფნისას საურმაგს ეახლნენ აზნაურები, აზოს რჩეული მეომრები, რომლებმაც თავის დროზე ფარნავაზს მხარი დაუჭირეს და საურმაგს ერთგულება დაუდასტურეს: „დიდი კეთილი დგას მამისა შენისა, ამისთუის ვართ ჩუენ ერთგულებას შენსა".

საურმაგი დაუკავშირდა აგრეთვე ოსების მეფეს, „მამის დისწულსა მისსა", რომელიც „სიხარულით წარვიდა შუელად მისსა".

საურმაგი დაბრუნდა საქართველოში, ურჩ ერისთავებს ბრძოლა გაუმართა და „ვერავინ წინაღუდგა მას, დაიპყრა ქართლი და მოსრნა განდგომილნი მისნი, და რომელთამე შეუნდო"... საურმაგმა დაიბრუნა მამისეული ტახტი, „დაჯდა... მცხეთას მეფედ", შეუდგა აწეწილი ქვეყნის ხელახალ მოწყობა-გაძლიერებას, „დაუმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისა და მცხეთისათა".

ისევე როგორც ფარნავაზი, საურმაგიც მოკავშირე იყო სელევკიდების სახელმწიფოსი, „მსახურებდა... მეფესა ასურასტანისა".

საურმაგმა შექმნა ორი ქალღმერთის კერპი, „აინინა და დანა (დანინა), და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა".

საურმაგმა „მოიყუანა ცოლი სპარსი, ასული ბარდაელისი ერისთავისა, და ესხნეს მის თანა ორნი ასულნი და არა ესუა ძე. მაშინ მოიყუანნა სპარსეთით შვილი ნებროთისა, ნათესავთაგან ცოლისა მისისა, დედის დისწული, და დაიჭირა იგი შვილად, რომელსა ერქუა სახელი მირვან. და მისცა ასული მისი ცოლად, ქალაქი გაჩიანი და საერისთაო სამშვილდისა".

ამის მერე საურმაგი ბედნიერად მეფობდა მრავალი წლის განმავლობაში. „... და მოკუდა საურმაგ, და მეფე იქმნა მის წილ შვილი მისი მირვან" (მირიან I).

მოამზადა ირაკლი ლომოურმა

# მოთხოვნა

ვინაიდან საქართველოს „ხელისუფლებას" არ ძალუძს ან არ სურს ეროვნული ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობა, რისი ნათელი დადასტურებაა IV საუკუნის უნიკალური ძეგლის, ასკანის ციხის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა;

ვინაიდან კარიერის ექსპლუატაცია იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი ბინების ნგრევას;

ვინაიდან უმოწყალოდ ნადგურდება და ჩალის ფასად იყიდება საქართველოს წიაღისეული სიმდიდრე;

ვინაიდან შესაბამის ორგანოებს არ ძალუძთ რაიონში ეკოლოგიურად სტაბილური მდგომარეობის შექმნა —

**მ ო ვ ი თ ხ ო ვ თ :**

1. მოხდეს სოფელ მთისპირში არსებული მაღაროთა სამმართველოს პენტონიტური თიხების კარიერის კონსერვაცია.
2. ზემდგომმა ორგანოებმა უზრუნველყონ მაღაროთა სამმართველოს და კარიერის მუშა-მოსამსახურეთა დროული დასაქმება, ხოლო იქამდე მოხდეს მათთვის საშუალო ხელფასის ანაზღაურება.
3. ადგილობრივმა „ხელისუფლებამ" უმოკლეს ვადაში მოახდინოს კარიერის მიმდებარე სოფელში დაზარალებული ოჯახებისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

**კარიერის მიმდებარე სოფლების მოსახლეობა,**
**რუსთაველის საზოგადოება,**
**ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოება,**
**ჟურნალისტთა პრეს-კლუბი,**
**ექიმთა ასოციაცია,**
**ნინო თოიძის საზოგადოება,**
**წმინდა ილია მართლის საზოგადოება,**
**დამოუკიდებლობის პარტია,**
**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-IV დასი,**
**ოზურგეთის სახალხო ფრონტი.**

ოზურგეთი.

# მრთი შეცდომის შესახებ

1988 წლის 10 დეკემბერს ბათუმში უნდა ჩატარებულიყო მიტინგი. საქართველოს მაშინდელი მთავრობის დავალებით, აჭარის ასსრ ხელმძღვანელებმა რაიონებში შეკრიბეს ახალგაზრდა კარიერისტთა და მათი გარემომცველთა ჯგუფები, სხვადასხვა ცრუ ინფორმაციებით აღაგზნეს ისინი და მიტინგის ორგანიზატორები და სტუმრები (!!!) დაარბევინეს (იმავე პერიოდში მსგავსი ხელწერით მოხდა მომიტინგეების დაშლა თბილისშიც, ქუთაისშიც...). როგორც ვხედავთ, ამ სამარცხვინო აქციის შემსრულებელნი ტოტალიტარული იმპერიის ღვიძლი შვილები არიან და არა სხვაგვარი ორიენტაციის მქონე პირები. სამწუხაროა, რომ გაზეთ „საქართველოს" მეოთხე ნომერში დაბეჭდილ წერილში („საბჭოური ტერორი") ნოდარ იმნაძის ოჯახის დამრბევნი სხვა სახელით მოინათლნენ. თუ ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ანტიდემოკრატიული ძალების სახე მუქი ფერებით დაგვეხატა, უფრო დიდი მსხვერპლი (?) ვინაიდან სინამდვილის [illegible] დამახინჯებას გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

**ტარიელ ფუტკარაძე.**

**რედაქციისაგან:** სავსებით ვეთანხმებით ბატონ ტარიელ ფუტკარაძის რეპლიკას და მადლობას ვუხდით ავტორს გამოხმაურებისათვის.

# საქართველოს სახალხო ფრონტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის პროგრამა

მიუხედავად იმ დიდი შრომისა, რომელსაც ეწევიან ქართველი რესტავრატორთა თაობები საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, ადამიანის მოღვაწეობის ამ სფეროში არსებული ვითარება მოითხოვს მკვეთრ გარდატეხას შემდეგი გარემოებების გამო:

უწყებრივი დაშლილობის მიზეზით (თუნდაც კულტურის სამინისტროსა და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს თავისებური დაპირისპირება) ვერ ხერხდება საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სრული აღრიცხვა-კლასიფიკაცია, რის გამოც სათანადო დაწესებულებების მხედველობის არეში არ ექცევა ისეთი კატეგორიის შენობები, როგორიცაა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ძეგლები. ამ გაურკვევლობას საკმაოდ მძიმე შედეგებიც მოჰყვება, თუნდაც ისეთი, როგორიცაა ე. წ. მარშლიანთ სასახლის ფაქტიური განადგურება კასპის ახალქალაქში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ; ოძისის გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმის დამახინჯება ცეკავშირის მიერ; ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის სრულიად შეუსაბამო გადაკეთება; მესხეთ-ჯავახეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, (ხევის, თრუსოსი და მნას, მთიანი აჭარისა, თუ სხვა რეგიონების უნიკალური სალხური ხუროთმოძღვრების ნგრევა-მოსპობა. იკარგება და მიწის პირიდან იშლება ისტორიის ძეგლებიც, რომელთაც მიეკუთვნება გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და შემოქმედთა მემკვიდრეობა, საცხოვრებელი სახლები თუ საფლავები (მაგალითად, გიორგი შარვაშიძის საფლავი მოქვის ტაძარში, დ. ჩქოტუას საფლავი სოფ. საბერიოში, მხატვარ ბაჟბეუქ-მელიქოვის სახლი თბილისში და მრავალი სხვ.).

ეს მდგომარეობა განპირობებულია იმითაც, რომ არ არსებობს ეფექტური კონტროლი ძეგლების მდგომარეობაზე. ქმედითი მეთვალყურეობის არარსებობამ გამოიწვია გერგეტის სამებისა და მცხეთის ჯვრის ტაძრების დამახინჯება. კათალიკოსის XVII საუკუნის დროინდელი სასახლის ფაქტიური დაკარგვა (1981 წ.) ძეგლთა დაცვის საზოგადოების თვალწინაც კი — ანჩისხატის ეზოში, თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების გაუმართლებელი ნგრევა-რეკონსტრუქცია, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების (მაგალითად, ნასტაკისის) მოსპობა-განადგურება.

ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სტიქიურობამ განაპირობა ძველი თბილისის ჩამოყალიბებული სახის მკვეთრი დამახინჯება და აქ ჩატარებული სამუშაოების დაბალი პროფესიონალიზმი.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მწარმოებელი ნაწილის დიქტატმა რესტავრატორებზე დაუკარგა მათ ფაქტიური კონტროლი საკუთარი პროექტების რეალიზაციის პროცესზე, რის გამოც დაზიანდა და დამახინჯდა მნიშვნელოვანი ძეგლების მთელი წყება.

არაა საკმარისი რესტავრატორთა კვალიფიკაციის ანუ სამხატვრო აკადემიაში მათი სწავლების დონე, რაც შეიძლება გამოსწორდეს სწავლების ხანგრძლივობის გაზრდით, სასწავლო პროგრამების გადახალისებითა და მსოფლიოს სარესტავრაციო ცენტრებთან უშუალო კონტაქტების დამყარებით.

რანაირი მეთოდური მუშაობა არ მიმდინარეობს საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული განადგურების პირას მისული ქართული კულტურის ძეგლების აღრიცხვა-გამოვლენისა და დაცვა-აღდგენისათვის.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფაქტიურად კატასტროფული მდგომარეობის ოდნავ მაინც გამოსწორება, ჩვენი რწმენით, შეიძლება მხოლოდ ძეგლთა დაცვის მთელი სისტემის შემდეგი ღრმა და მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმების შედეგად:

ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს ცალკე დაწესებულებად გამოეყოს პასპორტიზაციისა და ინსპექციის განყოფილებები, რომელსაც შეუერთდება თბილისის საბჭოსთან არსებული ძეგლთა დაცვის ინსპექციაც. ახალი დაწესებულება უნდა დაექვემდებაროს უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ჰქონდეს იგივე სტატუსი, რაც აქვს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს.

ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს უნდა დარჩეს გენერალური დამკვეთის და სპეციალიზებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ორგანიზატორის ფუნქციები, ხოლო სარესტავრაციო გაერთიანება მომავალში უნდა დაიშალოს რესტავრატორთა ხელმძღვანელობით არსებულ მცირე კოოპერატივებად, რომლებიც თავის თავში გააერთიანებენ სამუშაოთა უშუალო მწარმოებლებსაც.

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება გამოეყოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს და იქცეს „მწვანეთა" მოძრაობის ტიპის ნამდვილად საზოგადოებრივ მოძრაობად ძლიერი რეგიონალური განყოფილებებით, საკუთარი გაზეთითა და პერიოდული სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალით. საზოგადოებასთანვე უნდა შეიქმნას ის საზოგადოებრივი საბჭო, რომლის შექმნაც, სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთანაა ნაგულისხმევი.

ჩვენთვის გასაგებია, რომ ასეთი რეფორმა არაა იოლი მოსახდენი და, ალბათ, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. სამმართველოს რეფორმის ახეთ ეტაპად გვესახება რესტავრატორთა მიერ შემოთავაზებული ახალი სტრუქტურის დახვეწილი ვარიანტი, უპირველეს ამოცანად — პასპორტიზაცია-ინსპექციის სამმართველოსაგან დამოუკიდებელ დაწესებულებად გამოყოფა.

მანამდე კი საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისია თავს იდებს შესაძლებლობის ფარგლებში საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღრიცხვას როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მის გარეთ და საქართველოს მასშტაბით საზოგადოებრივი ინსპექციის ორგანიზებას.

# რუსლან მიქაბერიძე

# ეპიგრამები

### დეპუტატების გუნდს

პარტია სპექტაკლს თამაშობს,
თქვენ სტატისტებად უნდიხართ,
და საქართველოს კი არა,
თქვენ გუმბარიძის გუნდი ხართ.

### 9 აპრილის კომისიის დასკვნის მომლოდინეებს!

არ ესმით გულჩვილ დეიდებს
და გულუბრყვილო ბიძიებს,
მართალს ვინ გვეტყვის, როდესაც
მკვლელობას მკვლელი იძიებს.

### ყრილობა

შეჯდა მეჩეჩზე „გარდაქმნის"
ბუტაფორული ბორანი,
ბორანზე ზის და იცინის
ქვიშით ნახეხი ყორანი.

### ლიბერალ პოლიტიკოსებს

თუ ბუნებით ფრთხილი ხარ და
ბრძოლის ვერ გრძნობ შენში ვნებას,
თავი მაინც დაანებე
შენი ხალხის შეშინებას.

### კონსოლიდაცია

როგორ მოხდება იმათთან
ჩვენი კონსოლიდაცია,
ვინც თავის წინ წასაწევად
ქვეყანა უკან დაწია,
ვინც ბელადების სახოტბო
დაწერა დისერტაცია,
ვინც უსინდისო ფილმებით
გაწია აგიტაცია,
ჩინ-მედლებს ვინც ძლივს ზიდულობს,
ჯავშნად მანდატი აცვია,
ვისთვისაც შენახულია
ის, რაც დახლზე არ აწყვია,
ვინც ურცხვად ხელი მოსკოვში
ჩვენს წინააღმდეგ აწია,
ვინც ქრთამში ქართული მიწის
მიმცემი არაკაცია,
ვისაც უტიფარ სიფათზე
აპრილის სისხლი აცხია,
გამოვა იმ დასვრილებთან
ჩვენი კონსოლიდაცია?!

●

სულ ეს აზრი მაწვალებდა,
სულ ამ კითხვის ცეცხლი მწვავდა,
ნუთუ ჩვენ და კომუნისტებს
ერთი წინაპარი გვყავდა.

### საახალწლო ლოცვა

ღმერთო, გათენდეს, გათავდეს
ტყვეობის ღამე გრძელი,
ღმერთო, ასხადდეს ოცნება,
გულის, გონების მწველი.
ღმერთო, აჩუქე ქართველებს
თავისუფლების წელი.

რედაქტორი
მამუკა ფარჯიაშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ჯ-0096, თბილისი-96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 " 1 6 7 8 9 10 11 12 13
ფასი 50 კაპ.